მეექვსე წელიწადი

მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ბაკურ, კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების ხაბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეოთხე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეოთხე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დაწარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ყოველ „დღიურს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამკლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ელვისებრიცხის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

— რუმინეთში ალიარდება კაბინეტი ბრატიანუს კაბინეტის წინააღმდეგ.
— უკრაინეთში მოსალოდნელია მთავრობის გადადგომა.
— მოკავშირეებმა დასცალეს ჯ. ვოდრი.
— ოსმალეთში საყოველთაო სწავლება შემოიღეს.
— პოლონეთში 355.000 უმუშევარია.
— ამერიკა მოწინააღმდეგობას იღებს გაზიარადების კონფერენციაზე.
— კანტონში დიდი დემონსტრაციები ვაიმართა იაპონელ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

სამშაბათი, 2 თებერვალი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 25 (1480)

დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 6 საათ. შესდგება
საქართველოს ცკპის პრეზიდიუმის მორიგი
სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა
ცაკის მდივანი ს. თოდრია

„კომუნისტი“-ს
წლიურ ხელისმოწერლების საპატივცემულოთ
ამ დღეებში დაურიგდება
„კომუნისტი“-ს წლიურ ხელისმოწერლებს,
რომლებმაც წინადაწინ შემოიტანეს ხვედრი ფული,
შეპირებული პრემია
ე. ნინოშვილის თხზულებანი ტ. II

დაქირავებულ შრომის კითხვები სოფლად

(მიწა-ტყის კავშირის ყრილობის გამო)

დასრულდა მიწა-ტყის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ამ ყრილობას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება მოჯამაგირეთა, მწყემსთა, ტყის მუშაკთა და სხვების შრომის პირობების მოწესრიგება-გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობაში შრომის კანონთა კოდექსის გატარება ერთობ ძნელ ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო. ტერიტორიალური და ამ აქედან გამომდინარე ორგანიზაციული დაქსაქსულობა სოფლის დაქირავებულ მუშა-ხელის, საკუთარ პროფესიონალურ ინტერესების შეუგნებლობა კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენილობა დამქირავებელის,—ეი ზოგადათ ის მიზეზები, რომელიც წინ ეღობებიან შრომის კოდექსის უკლებლივ გატარებას სოფლის მეურნეობებში.

ერთ-ერთ მუდამ საკითხს მიწა-ტყის კავშირის მუშაკთათვის წარმოადგენს სოციალური დაზღვევის შემოღება. როგორც ვიცით, ამ კავშირის ყველა წევრები არ არიან დაზღვეული ავადმყოფობის, უმუშევრობის ან სხვა შემთხვევისაგან. აქ ერთგვარი განსამართლებელი მიზეზიც არსებობს.

მიწა-ტყეს დარგის მუშაკთა შემადგენლობა ერთფეროვანი არაა. აქ არეულია ერთმანეთში როგორც წვრილი მესაკუთრე სოფლის მეურნე, რომელიც იძულებულია დროგამოშვებით გავიდეს ოჯახიდან ქირაზე სამუშაოთ, ისე ყოველივე ნაკუთრებას მოკლებული, სრულიად უმიწაწყლო ელემენტები, რომელთა არსებობის წყაროს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შრომის დაქირავება წარმოადგენს.

ამიტომ სოციალურ [illegible] საყოველთაოთ გავრცელ[illegible] მიწა-ტყეს დარგის მუდმივ და [illegible] მუშაკებზე მატერიალურად და ტეხნიკურადაც ძლიერ ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავათ ამისა ახლად დასრულებული ყრილობა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკეკა. აქ გადაჭრით ითქვა, რომ უნდა გავრცელებულ იქნას სოციალური დაზღვევა ყოველ შემთხვევაში იმათზე მაინც, რომელიც მთლიანად დამოკიდებულნი არიან შრომის ქირაზე.

მაგრამ, სანამ სოციალური დაზღვევა გატარდებოდეს, საჭიროა ყურადღების მიქცევა შრომის კანონების სხვა ხრახის სისწორით დაცვისათვის. აქ კი ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი: საბელწიფოს მიერ დაწესებული შრომის ხელფასის მინიმუმის დაცვა, საშუშო დროის განსაზღვრა, ანგარიშის დროული [illegible] და უკლებლივი გასწორება და სხვა. მთელ რიგ შემთხვევებში ირღვევა ეს საგალდებულო მოთხოვნილებები.

ამას წინათ, მაგალითად, ჩვენი სენაკელი კორესპონდენტი გვატყობინებდა მეჯოგეების მიერ მწყემსების დაუზოგავ ექსპლოატაციის შესახებ. აქაურ მეჯოგეებს აბეკავთ ხშირათ მწყემსებათ მცირეწლოვანები. იმსახურებენ მათ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში და მთელი ამ სამსახურისათვის ვასამრჯელოს აძლევენ ნატურით: ორ ან სამ ძროხას.

ეს საფასური რომ ფულზე გადაკეთდეს, გამოვა, რომ სენაკის მაზრაში მწყემსები მსახურობენ წელიწადში 15-20 მანეთად; და ისიც ისეთ მძიმე პირობებში, როგორიცაა მთაში გაზვებულ ჯოგის მოვლა ბატრონობა.

აშკარაა ასეთი მდგომარეობა ნორმალურათ ვერ ჩაითვლება. მიწა-ტყის კავშირს მართებს ამ მხრივ გადამწყვეტ ზომების მიღება. ახლად დასრულებულ სოფლის დაქირავებულ მუშაკთა ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასტიკათ ტარდებოდეს ცხოვრებაში ის საყოველთაო ეალდებულებანი, რომელიც დაწესებულია ხელისუფლების მიერ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის.

მოჯამაგირეთა და სოფლის მეურნეობაში დაბნდებულ ყველა სახის დაქირავებულ მუშაკთა პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მე-14 ყრილობის დადგენილების შემდეგ, სადაც ნათქვამია, რომ „ღარიბი ელეკაცობა და პირველყოფილსა მოჯამაგირეები წარმოადგენენ პროლეტარიატის დასაყრდენ ძალ ას სოფლად“.

გარდა ამისა პროფესიონალურათ დარაზმული მიწისა და ტყის დაქირავებული მუშაკები პარტიის და ხელისუფლების ხაზის საუკეთესო გამტარებელნი შეიქნებიან სოფლად. ასეთია მაგალითად კოოპერატივების, კოლექტიურ მეურნეობათა, ელეთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების და სხვათა მუშაობა.

მოჯამაგირეთა და სოფლად ქირაზე მომუშავე მუშაკთა გაერთიანება - დარაზმვა პირველყოფილისა უნდა სწარმოებდეს მათი შრომის და ეკონომიურ პირობების გაუმჯობესების ნიადაგზე. ამ მხრივ მრავალი საყურადღებო დადგენილებები მიიღო მიწა-ტყის კავშირის ყრილობამ. ეს დადგენილებათა შესწავლა-განხორციელებისაკენ უნდა იყოს მიმართული ამ კავშირის ძირითად ორგანიზაციების ყურადღება.

შემიდან ქვანახშირზე გადასვლის საკითხი

უკანასკნელ ხანებში ჩვენს სამეურნეო ორგანოებში წამოიჭრა საკითხი შუშის სათბობიდან მინერალურ სათბობზე, სახელდობრ კი ტყიბულის ქვა-ნახშირზე გადასვლის შესახებ.

ჩვენ გვსურს ამ საკითხს მოკლედ შევეხოთ.

დღესდღეობით ჩვენს წარმოებებში, დაწესებულებებში, ქალაქის კომუნალურ მეურნეობებში, მუნიციპალურ და სხვა სახლებში სათბომ მასალად იხმარება თითქმის განსაკუთრებით შეშა,

თუ რამდენად დიდია შეშის ხმარება ჩვენში, გვიჩვენებს შემდეგი,

მარტო საქ. მიწათმოქმედების კომისარიატიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, 1924—25 წელს საქართველოში დახარჯულია 45-160 კუბ. საჟენი ტყე-შეშის სათბობ მასალისი სახით.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჯლეხებს ქალაქებში და დაბებში შეამოაქვთ, ყოველივე ანარიცხის გარეშე, აუარბელ შეშა, მაშინ რასაკვირველია ზემოაღიშნული წლიური შეშის ხარჯვა მთელ საქართველოში გაცილებით უფრო გაიზრდება.

რაც შეეხება სოფელში შეშის ხმარების რაოდენობას—აქ ჩვენ ყოველივე საშალოებს მოკლებული ვართ დაახლოვებით მაინც ვივარაუდოთ ჯლეხების მიერ დასაწვავად, უსისტემოდ და დაუზოგავად აუარბელი გაჩეხილი ტყის რაოდენობა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის, რომ იმავე მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით, აღნიშნულ შეშის რაოდენობის დასამზადებლად იხმარებოდა უმთავრესად ძეირფასი წიფლის ტყე.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დროს, როდესაც ჩვენი ტყე დღითი დღე ისპობა ტ ღარიბებდა, ჩვენი ტყის მეურნეობის ჯერ-ჯერობით მოუწესრიგობის გამო, და აგრეთვე ჯლეხების მიერ მისი დაუზოგავად გაჩეხის წყალობით—ეი სწორედ ამ დროს ჩვენ აუარებელ ტყეს ვამზადებთ შეშადხე-ტყის მასალად და სხვა სამრეწველო მიზნებისათვის გამოყენების მაგივრად ჩვენ ტყის დიდ ნაწილს ვხმარობთ უბრალო და იაფ „შეშა“ სათბობ მასალის სახით.

ამიტომ ჩვენს უახლოეს მიზანს უნდა შეადგენდეს ყოველივე ზომის მიღება, რათა ტყის ხარჯვა შეშად დავიყვანოთ მინიმუმამდე.

ამ მხრივ წამოკრილი საკითხი შეშის სათბობიდგან ქვა-ნახშირის სათბობზე გადასვლის შესახებ, რასაკვირველია, დიდი ყურადღების ღირსია.

რომ ეს ეკონომიურად ხელსაყრელიცაა—ამას გვიჩვენებს შემდეგი ანგარიში.

ავიღოთ მაგალითად თბილისის რაიონის შეშის ხარჯვის რაოდენობა და გადავიყვანოთ ეს ქვა-ნახშირზე და ვნახოთ, როგორ მომჭირნეობას შეგვიძლია მივაღწიოთ ამ მხრივ.

საქართველოში საერთო შეშის ხარჯვის, რაოდენობიდან თბილისის რაიონზე შეგვეძლიან ვიანგარიშოთ დაახლოვებით ნახევარი, ე. ი. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოდ აღნიშნულ ციფრებს—მაშინ ეს იქნება დაახლოვებით 20.000 კუბ. საჟენი შეშა. რომ კუბ. საჟ. შეშის ღირებულება თბილისის რაიონისათვის საშუალოდ 65 მან. მივიღოთ, მაშინ ამ 20.000 კუბ. საჟ. ღირებულება გამოიხატება 1.300.000 მანეთში. ეხლა გამოვიანგარიშოთ ამ შეშის რაოდენობის თანაბარი ქვა-ნახშირის ღირებულება. ერთი კუბ. საჟენი შეშის წონა საშუალოდ რომ 250 ფუთი შეშად მივიღოთ, მაშინ 20.000 კუბ. საჟენში იქნება 5.000.000 ფუთი შეშა. და თუ ეხლა შეშის და ქვა-ნახშირის შორის დაახლოვებით 1:2 ეკვივალენტურ შეფარდებას მივიღებთ, მაშინ 5.000.000 ფ. შეშის თანაბარი ქვა-ნახშირის რაოდენობა გამოიხატება 2.500.000 ფუთი ტყიბულის ქვა-ნახშირში და მისი ღირებულება იქნება 800.000 მანეთი, თუ ფრანკო თბილისის რაიონისათვის ერთ ფუთ ტყიბულის ქვა-ნახშირის საშუალოდ 35 კაპეიკად ვიანგარიშებთ.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ შეშის სათბობიდან ქვა-ნახშირის სათბობზე გადასვლით, მარტო თბილისის რაიონზე ანგარიშით, 1.300.000 მანეთის მაგივრად დაიხარჯება 800.000 მანეთი, ე. ი. წელიწადში გვექნება 500.000 მანეთის ეკონომია. და თუ მხედველობაში მივიღებთ მთელი საქართველოს შეშის ხარჯვას, მაშინ კი ეს ეკონომია მიაღწევს დაახლოვებით წელიწადში 1 მილიონ მანეთს.

აშკარა თუ რამდენად ხელსაყრელია და სასურველი ჩვენი მეურნეობისათვის შეშის სათბობიდან ქვა-ნახშირის სათბობზე გადასვლა.

ახლა ვნახოთ რამდენად შესაძლებელია ამ „გადასვლის“ დღესვე პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება.

სამწუხაროდ, ამ მეტად სასურველ „გადასვლის“ ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარება ისეთი უბრალო და ადვილი საქმე არაა, რადგანაც ჩვენს პირობებში მის ახლავე განხორციელებას წინ ეღობება მრავალი სერიოზული დაბრკოლებანი.

ევროპაში და განსაკუთრებით კი გერმანიაში უკვე დიდი ხანია, რაც საშუალო და დაბალ ხარისხის ქვა-ნახშირს სათბომ მასალად ხმაროობენ — ეგრედწოდებულ ბრიკეტის ფორმით (ქვა-ნახშირის აგურაკები.)

სწორედ ამ შეკუმშულ, აგურაკების სახით—ქვა-ნახშირის სათბომ მასალად ფართოდ გამოყენება შესაძლებელი და სასურველი ხდება ამ სახით იგი ადვილი და სუფთა შესანახია და ამასთანავე კარგ თბომის ეფექტსაც იძლევა.

ჩვენში კი, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ყოველივე ამას ადგილი არა აქვს და ამიტომ პირველი და უმთავრესი სიძნელე, რომელიც წინ ეღობება შეშის სათბობიდან ჩვენს ქვა-ნახშირის სათბობზე „გადასვლას“, გამოიხატება იმში, რომ ამ „გადასვლისათვის“ აუცილებლად საჭიროა ტყიბულის ქვა-ნახშირის ბრიკეტიზაცია.

გარდა ამისა ამ „გადასვლისათვის“ საჭირო იქნება ტყვიბულის მაღაროების ნაყოფიერების გადიდება, რადგანაც ამ „გადასვლისათვის“ მარტო საქართველოს დასჭირდება წელიწადში 5 მილიონი ფუთი ტყვიბულის ქვა-ნახშირი (თანახმად საქართველოში წელიწადში, დაახლოვებით 40.000 კუბ. საჟ. სახარჯავ შეშის ქვა-ნახშირზე გადაყვანილი გამოანგარიშებისა).

თუ ახლა ჩვენს პერსპექტიულ ცნობებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ს. მ. უ. სათანადო განყოფილება მხოლოდ მომდინარე ხუთწლედის ბოლოში ჭიკობს ტყიბულის მაღაროების ნაყოფიერების 2 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი მოამატებინოს.

რაც შეეხება ტყიბულის ქვა-ნახშირიდან ბრიკეტების დამზადებას, იმავე განყოფილების პერსპექტივების მიხედვით, ეს ორასამ წელზე ადრე ვერ მოხერხდება, რადგანაც ეს საკითხი ჯერ კიდევ კვლევა-შესწავლის პერიოდში იმყოფება.

გარდა ამ ძირითადი სიძნელისა, ჩვენს სინამდვილეში, ამ „გადასვლას“ წინ ეღობება კიდევ შემდეგი სიძნელენი.

[illegible] ქალაქი. [illegible] კავშირებით ჩვენი ღუმელების გადაკეთების საჭიროება, რადგანაც ამ ღუმელების უმრავლესობა მოუწყობელია ქვა-ნახშირის თბობისათვის, ამ ღუმელების ერთბაშათ გადაკეთება კი ცოტა ფული არ დაჯდება, რადგანაც ერთი ასეთი ღუმელის გადაკეთება 50—100 მანეთამდე ეღირება.

ასე რომ ამ „გადასვლის“ ერთბაშად და გეგმიანად ჩასატარებლად სახელმწიფოს დასჭირდება ჩვენი წამოწყებებისა და სახლებისათვის ფული თდახმარების გაწევა ამ ღუმელების გადასაკეთებლად

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ზემოთ ჩათვლილ სიძნელეების წყალობით და უმთავრესად კი იმის გამო, რომ 2—3 წელზე ადრე ყოველად შეუძლებელია ტყიბულის ქვა-ნახშირიდან ბრიკეტების დამზადება, ჩვენთვის, დღეს-დღეობით, სამწუხაროდ, შეუძლებელი ხდება შეშის სათბობიდან ქვა-ნახშირის სათბობზე საერთო გადასვლა.

თუ დღეს ამ „გადასვლის“ ცხოვრებაში გატარება არ ხერხდება, ეს სრულებითაც იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ საკითხს ეკარგება თავისი დიდი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობის ახლო მომავლისათვის. პირიქით, მიუხედავთ ამ საკითხის აღნიშნულ დღევანდელ მდგომარეობისა, ჩვენ მაინც უნდა ყოველივე ზომები მივიღოთ, რათა ეს „გადასვლა“ მოხდეს რაც შეიძლება მალე. იქამდის კი ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ასეთი სათანადო და წინასწარი ზომების მიღებასა, როგორიც არის, მაგალითად: სახლებში ცენტრალურ გასათბობების აღდგენა, ღუმელების თანდათანობითი ქვა-ნახშირის სათბობზე გადასასვლედ მოწყობა, ახალ სახლებში კი მარტო ასეთი ღუმელების აგების დაშვება, ტყიბულელ ქვა-ნახშირისაგან ბრიკეტების დაბზადების დაჩქარება და სხვა.

ინჟ. გ. ედიბერიძე.

ვალები და კრედიტები

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 1 თებერვალი, „პრავდა“ მოწინაეე წერილში „ვალები და კრედიტები“ სწერს:

„ვალები, როგორც უფლებრივი ვალდებულება, ჯერ კიდევ ომამდე მოისპო, იგი შეიძლება ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენდეს მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის ბანკირებს და მთავრობას თავის ჯიბიდან კი არ მოუციათ ფულები, არამედ საფრანგეთის ხალხის ჯიბიდან. ისინი ხელს უწყობდენ იმ სიცრუეს, რომლის წყალობით საფრანგეთის ხალხობა და საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზია ხელს აწერდენ მეფის სესხზე. მათ თვითონ ჩაიყენეს თავი მძიმე მდგომარეობაში ფასიან ქაღალდების ფრანგ მეპატრონეთა მიმართ. ამიტომ ისინი ვალდებული არიან გადასჭრან ეს საკითხი არა ცოდვების რუსეთის ხალხობაზე გადატანით, არამედ ისეთი კომბინაციით, რომელიც ჩვენს ხალხობას და ჩვენს მუშათა კლასს ახალ მსხვერპლად არ დაუჯდებათ.

ვალების საკითხის გადაჭრა უნდა იქნას დამყარებული თვით გამოყენების პრინციპზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი დაკავშირებული იქნება საბჭოთა კავშირისათვის გრძელვადიან კრედიტების მიცემასთან.

ის პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას და რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ძველ და ახალ ვალდებულებათა პროცენტები უნდა დაიფაროს იმ პროცენტებით და შემოსავლით, რომელსაც ჩვენ ახალი გრძელვადიანი კრედიტები მოგვცემენ—ეს პრინციპი საფუძვლად უნდა დაედოს მოლაპარაკებას საფრანგეთთან.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მიღწეული იქნას ორივე ქვეყნისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება“.

ინგლისის მოკავშირე ბალკანეთზე

ვენა, 31 იან. ინგლისის პრესის უკანასკნელ წერილებში შემჩნეულია აშკარა ტენდენცია დაუპირდაპირონ ჰუნგრეთი მცირე ანტანტას, რომელიც შედის საფრანგეთის ინტერესების სფეროში. თავის მხრივ ჰუნგრეთის მთავრობა მუდამ ხაზს უსვამს თავის მეგობრულ დამოკიდებულებას ინგლისისადმი. ჰუნგრეთის პოლიტიკური მოღვაწეები იცავენ აგრეთვე ფაშისტურ იტალიის ორიენტაციას. მთავრობასთან ახლოს მდგომი გაზეთი „ბუდაპეშტი-გირლაპი“ პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ჰუნგრეთის დიპლომატიის გზა მიდის ლონდონში რომზე გავლით“.

ჰუნგრეთის პოლიტიკური წრეები და მთელი პრესა თვალყურს ადევნებენ ინგლის-იტალიის მოლაპარაკებას ბალკანეთის და საშუალო ევროპის პოლიტიკის ხაზებზე.

ყალბი ფულის მკეთებელთა საქმესთან დაკავშირებით ჰუნგრეთის პრესა ხაზს უსვამს ინგლისის და იტალიის კეთილგანწყობილებას ჰუნგრეთისადმი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისი და იტალია გაილაშქრებენ მცირე ანტანტის ცდის წინააღმდეგ დაასუსტოს ჰუნგრეთი, რადგან ეს გამოიწვევს საფრანგეთის გავლენის გაძლიერებას ბალკანეთში.

საბჭოთა პრესა

როგორ არ უნდა ჩატარდეს არჩევნები

საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად უმაღლეს პარტიულ ორგანოების მხრით გარკვეული დირექტივები ქარგა ხანია, რაც მოცემულ ა, მაგრამ არა ყველგან აქვთ ეს დირექტივები შეთვისებული და არა იშვიათად ხდება პარტიული ხაზის დამახინჯება. აი, მაგ., რას გადმოგვცემს „ბედნოტა“-ს კორესპონდენტი რუსეთის ერთ-ერთ თემში ჩატარებულ არჩევნების შესახებ:

„ზეიკოთხეს ინსტრუქცია. შემდეგ და. სახელეს რაისაბჭოს წევრობის კანდიდატები,—მერე სარეგისტრო კომისიის წევრობის კანდიდატები. არჩევნები ამით გათავდა. არამც თუ თემის მდგომარეობაზე ვერა ფერი მოისმიეს გლეხებმა, არამედ რაისაბჭოსაც არ გეუკეთებია მოხსენება თავის მეუმობაზე. სამწუხაროდ დღემდე ახალ საბჭოს ძველი საბჭო არ ანარებს საქმეებს და ანგარიშს. ახალი საბჭო იწყებს მუშაობას ყოველგვარი „ნაკაზის“ გარეშე ამო მრჩეველების მხრით“.

ეი ნიმუში იმის, თუ როგორ არ უნდა ჩატარდეს არჩევნები. ზედმეტად მიუჩნევიათ ამმარჩეველთათვის ანკარის წარდგენა, ძველი საბჭოს მუშაობის საჯარო განხილვა-შეფასება, ახალი სამოქმედო პროგრამის შედგენა,—ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც უნდა შეადგენდეს არჩევნების შინაარსის მთავარ ნაწილს.

ამის გამო „ბედნოტა“, სხვათა შორის, სწერს:

„თუ საბჭოს სურს—და უნდა სურდეს—იქცეს მშენებლობის ორგანიზატორად, სოფლის ყველა სასარგებლო საზოგადოებრივ წამოწყებათა ინიციატორად, თუ მას უნდა გაეერთიანოს თავის გარშემო ყველა აქტიური ელემენტები, რომელთაც სწადიათ კეთილსინდისიერი მუშაობა საბჭოთა მშენებლობის სასარგებლოდ,—თუ ყველაფერი ეს ასეა, ამან თავი უნდა იჩინოს, პირველყოფილისა,

უკვე თვით არჩევნების დროს. ხოლო როცა არჩევნებს მიატა უბრალო ხმის მიცემით განსაზღვრავენ, ამით მათ ეცლება ყველაფერი ის, რაც ნამდვილად ინტერესებს მოსახლეობას და მას არჩევნებისკენ იზიდავს“.

მსგავს „არჩევნებს“ უნდა გამოეცხადოს უსასტიკესი ბრძოლა. ნამდვილი პასუხისმგებლობა ამმარჩეველ მასსის წინაშე, ძველ საბჭოს მოქმედების სრული სურათის გადაშლა, თავისუფალი საქმიანი კრიტიკა, ახალი სამოქმედო პროგრამის შედგენა კონკრეტიულ საკითხებთა გათვალისწინების საფუძველზე,—აი რას უნდა შეეტყეს ყურადღება. ეს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ ადგილობრივ ამხანაგებს მოახლოვებულ არჩევნების ჩატარების დროს.

ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე

ბრძოლა ბეტლენის წინააღმდეგ

ვენა, 31 იან. ჰუნგრეთის საპარლამენტო კომისია, რომელიც იკვლევს ყალბი ფულის მკეთებელთა საქმეს, **სცდილობს მიჩქმალოს ბეტლენის კაბინეტის პასუხისმგებლობა ამ საქმეში.** ამის გამო სოციალ-დემოკრატებმა და მემარცხენე-ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ შესცვალეს დამოკიდებულება მთავრობისადმი. ოპოზიცია სცდილობს მიიღწიოს ბეტლენის გადადგომას და კაბინეტიდან ყველაზე უფრო რეაქციონულ მინისტრების განდევნას. ოპოზიციონურმა ფრაქციებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც ხაზს უსვამენ, რომ მთავრობის წრეები არასწორ ცნობებს აფრცელებენ იმის შესახებ, თითქოს კომისიამ დაამტკიცა ბეტლენის უდანაშაულობა ყალბი ფულის მკეთებელთა საქმეში.

ბეტლენი უნდა გადადგეს

ვენა, 31 იან. დროებითი ბიუჯეტის შესახებ გამართულ კამათის დროს სოციალ-დემოკრატმა-დეპუტატმა ვარკამმა წამოაყენა საკითხი ყალბი ფულების მკეთებელთა შესახებ და ხაზი გაუსვა მთავრობის პასუხისმგებლობას ამ საქმეში. ფარაგამ მოითხოვა მთავრობის გადადგომა. **მან ხაზი გაუსვა, რომ ბეტლენმა ალრევე იცოდა ყალბი ფრანკების დამზადება** და მოითხოვა, რათა კრებამ დაუყოვნებლივ განიხილოს სოციალ-დემოკრატების წინადადება 3 წევრისაგან შემდგარ მთავრობის საბჭოს დანიშვნის შესახებ. ამ სიტყვის სპასუხოთ, ბეტლენმა განაცხადა, რომ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადასჭრას ყალბი ფულების მკეთებელთა საქმის გამომძიებელმა კომისიამ. მემარცხენე ოპოზიცია სიტყვას აწყვეტინებდა ბეტლენს ყვირილით: **„შემოგვანეთ განცხადება გადადგომის შესახებ!“**

ბეტლენის გადადგომა აუცილებელია

ვენა, 31 იან. ჰუნგრეთის სოციალ დემოკრატების ორგანო ალნიშნავს, რომ მთავრობა პასუხისმგებელია ყალბი ფულის მკეთებელთა საქმეში, რაც დადასტურებულია მთელ რიგ ფაქტებით.

თუმცა მთავრობის პარტიამ ბეტლენს ნდობა გამოუცხადა, „პოლიტიკური წრეებში მაინც ფიქრობენ, რომ აუცილებელია კაბინეტის გადადგომა, როგორც კი ყალბი ფულის მკეთებელთა საქმის გამომძიებელი კომისია დაასრულებს მუშაობას.

რა ხდება რუმინეთში

ერთიანი ფრონტი ბრატიანუს წინააღმდეგ

ვენა, 31 იან. რუმინეთის გლეხთა და ნაციონალურ პარტიების წრიდან მიღებული ცნობებით დასტურდება, რომ ამ პარტიებს შორის მიღწეულია შეთანხმება მომავალ სათემო არჩევნებში ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ ბლოკის შედგენის შესახებ.

ორივე პარტიის შორის გრძელდება მოლაპარაკება მჭიდრო თანამშრომლობის და სამინისტრო პორტფელების თანასწორად განაწილების შესახებ.

ნაციონალურ პარტიის ცნობაში აღნიშნულია, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ოპოზიცია აუქმებს ხათუმო არჩევნებს, რათა ხელახლა ჩაატაროს იგი და პასუხისგებაში მისცეს ბრატიანუს მთავრობა მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის. ნაციონალური და გლეხთა პირველი მოუწოდებენ დანარჩენ ოპოზიციონურ პარტიებს შეადგინონ ერთიანი ფრონტი მმართველ ლიბერალურ პარტიის წინააღმდეგ.

„ყველაზე უფრო უბედური ქვეყანა ევროპაში“

რომი, 31 იანვ. „სტამპაში“ გამოაქვეყნა თავისი სპეციალური კორესპონდენტის წერილი ბუქარესტიდან რუმინეთის მდგომარეობის შესახებ:

„არ ყოფილა დღე 7 წლის განმავლობაში, სწერს კორესპონდენტი, რომ ბესარაბიას შესძლებოდა მშვიდობიანობის კეთილდღეობით სარგებლობა. ბესარაბია ეხლა წარმოადგენს ყველაზე უფრო უბედურ ქვეყანას ევროპაში. რუმინეთმა რომ გაბედოს ბლებისციტის გამოცხადება (რომელსაც მოითხოვენ ბოლშევიკები), საეჭვოა, რომ რომ მან მიიღოს ხმების უმრავლესობა თავის სასარგებლოთ, მიუხედავად ამისა, რომ მოსახლეობის 3 | 4 რუმინელ მოქალაქეებისაგან შესდგება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთის ამბები

იაპონიის საფინანსალმდებლო დემონსტრაცია კანტონში

კანტონი, 31 იანვ. კანტონში გაიმართა იაპონიის საფინანსალმდებლო ფართო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას „ღებულნ ყველა ხალხგადმებრივი ორგანიზაციები და კანტონის გარნიზონი. დემონსტრაციის მონაწილეთა რიცხვი 50.000 კაცს აღწევდა.

მოლებულია რეზოლიუციები იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ მანჯურიაში. რეზოლიუციებში მოუწოდებენ მასებს განაგრძონ ბრძოლა ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ.

პროლეტარიატის ბელადების ხსოვნის პატივსაცემად

კანტონი, 31 იანვარი. კანტონის უნივერსიტეტის შენობაში გაიმართა დიდი მიტინგი ლენინის გარდაცვალების ორი წლის თავის აღსანიშნავად და კარლ ლიბნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ხსოვნის პატივსაცემად. დარბაზი მოხოფილი იყო დროშებით და პლაკატებით, რომელთაც ახეთი წარწერა ამშვენებდა: „გაუმარჯოს ლენინიზმს“.

მიტინგზე ადმოსავლეთის ბელადების ხსოვნის პატივსაცემად დამსწრეთა რიცხვი იმზომ დიდი იყო, რომ „აჯირო შეიქნა რამოდენიმე ტრიბუნის მოწყობა უნივერსიტეტის შენობის წინ. მიტინგზე ალაპარაკეს მუშათა, სტუდენტთა, ჯარისკაცთა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სალამოს ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად ქალაქში მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა.

გერმანია

„შესაფერი ანაზღაურება“

ბერლინი, 31 იანვ. ცენტრის პარტიებმა წინააღმდეგ კომპარტიის და სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებისა მეფის გვარეულობათა ქონების უსასყიდლოდ კონფისკაციის შესახებ, შეიმუშავეს წინადადება დაარღვეს გერმანიის უზენაეს ტრიბუნალთან განსაკუთრებული სასამართლო, რომელშიაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ყოფილ სამეფო გვარეულობის წინადადებით შევა ორი წევრი. განსაკუთრებული სასამართლო არჩევს მხოლოდ იმ სადაო საკითხებს, რომელთა შესახებ აქამდის არ ყოფილა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. ცენტრის პარტიები წინდაწინვე სდებენ პირობას, რომ ყოფილ მეფის გვარეულობამ, ყოველ შემთხვევაში, უნდა მიიღოს „შესაფერი ანაზღაურება“.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

საფრანგეთი

მასების ზეგავლენით

პარიზი, 31 იანვ. გაიხსნა შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის საბჭოს სესია. საბჭომ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მთავრობა ანიჭებს მოსამსახურეებს შეკავშირების უფლებას, მაგრამ არ აძლევს მათ შვებულებას პროფესიონალურ ორგანიზაციების ყრილობებზე მონაწილეობის მისაღებად. საბჭომ დაადგინა დაიწყოს ბრძოლა ხელფასის მოძრავ შკალის შემოღებისათვის, ომის და ფაშიზმის წინააღმდეგ.

გერმანია

რკინისგზელების პროტესტი

ბერლინი, 31 იანვ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების კავშირების წარმომადგენელთა თათბირმა დაადგინა მომავალ კვირაში რამდენიმე საათით ჩაატარებულ იქნეს საპროტესტო გაფიცვა იმის გამო, რომ გერმანიის რკინის გზების საზოგადოებამ გადგომა არ ასრულებს სამედიატორო სასამართლოს სავალდებულო დადგენილებას რკინის გზელთა საუმუშაო ხელფასის შესახებ. თათბირმა დაადგინა გაფიცვის დროს შეწყდეს ყველა მატარებლის მოძოსვლა და ავარეთვე ყველა სარკინიგზო დაწესებულების და სახელოსნოების მუშაობა.

აღმოსავლეთი

ოსმალეთი

საყოველთაო სწავლა ოსმალეთში

ანგორა, 31 იანვ. ოსმალეთის მეჯლისის კომისიამ განიხილა კანონი ოსმალეთში საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. კანონპროექტი განხილულ იქნება მეჯლისის ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზე.

რკინის გზა ქესარია-ულუ-კიშლა

ანგორა, 31 იანვ. ოსმალეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რკინის გზის ხაზის გაყვანის შესახებ, რომელიც შეიერთებს ანატოლიის ცენტრს ხმელთა შუა ზღვასთან.

სხვა და სხვა ამბები

— **დიპლომატები პროტესტს აცხადებენ.** ბუქარესტის დიპლომატიურ კორპუსის პროტესტის შემდეგ, რუმინეთის მთავრობამ გაუქმა ცენზურა უცხოეთის გზეთებზე.

— **„კომუნისტური პროპაგანდის“.** ბელგრადში დახურული იქნა ხორვატიის ლეგეთა მემარცხენე კავშირის ორგანო „პლუგ“-ი. გზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი დაპატიმრებულია, ვითომდა „კომუნისტური პროპაგანდის“ წარმოებისათვის“.

— **კატოს გზით.** საადგენტო „კეკუსაი“ იტყობინება, რომ ახალი კაბინეტი ოფიციალურად შეუდგა თავის მოვალეობათა შესრულებას. თავის პირველ სხდომაზე კაბინეტმა განაცხადა, რომ ის განაგრძობს კატოს მთავრობის პოლიტიკას.

— **პოლონეთ-რუმინეთის** კავშირი. რუმინეთის ნაციონალური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო „ლუტა“ საარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ რუმინეთის და პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროებსა და გენერალურ შტაბებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთ-რუმინეთის კავშირის გაგრძელების შესახებ. ამ კავშირის ვადა თავდება 1926 წ. 1 მარტს. ამავე დროს სწარმოებს მოლაპარაკება კავშირის ჩარჩოების გაფართოების და მასში დანარჩენ განაპირა სახელმწიფოების ჩამბის შესახებ.

„თავისუფალ“ ამერიკაში

ზანგების გასამართლება ლინჩის წესით

ნიუ-იორკი, 31 იანვ. „ფერად კანიანი ხალხის დამხმარე ნაციონალური ასოციაციის“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებით, 1925 წ. შეერთებულ შტატებში ადგილი ჰქონდა ზანგების ლინჩის წესით გასამართლების 18 შემთხვევას, 1924 წლის 16 შემთხვევის წინააღმდეგ, საშუალოდ კი უკანასკნელ 35 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იყო 80 შემთხვევა.

ამ ციფრის შემცირება, ასოციაციის აზრით, გამოწვეულია ზანგების თავდაცვის ტენდენციის ზრდით ერთის მხრივ, და ზანგების გადასახლებით ჩრდილოეთ შტატებში მეორეს მხრით. რომ სრულებით არ გაჭქრეს იაფ-ფასიანი „ზეი“ მუშა ძალა, თეთრები იძულებული არიან უფრო ჭუმანური პოლიტიკა აწარმოონ ზანგის მიმართ.

ზანგების დევნა სამხრეთ შტატებში მაინც ფართო მასშტაბით გრძელდება: იქ აქამდის ხდება დაპატიმრება ვალის გადაუხდელობისათვის; ზანგებს აიძულებენ ავრეთვე გაასწორონ დავალიანება მაღაროებში და პლანტაციებზე მუშაობით.

ასოციაცია აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას ზანგების თეთრებთან გათანასწორებისათვის კანონის წინაშე. ზოგიერთი სამხრეთ შტატები ზანგებს საარჩევნო უფლებას ართმევენ, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ კონსტიტუციის მიერ.

კიდევ 63 მსხვერპლი.

ნიუ-იორკი, 31 იანვ. ბირმინგამში (ალამამას შტატი) ნახშირის მაღაროში მოხდა აფეთქება. მიწის ქვეშ მოემყოდა 63 მუშა, რომელთაგან მხოლოდ 25 გადარჩინეს. დანარჩენები, როგორც სჩანს, დაიღუპენ. ჯერ ჯერობით იპოვეს ათი გვამი.

შეერთებული შტატები მონაწილეობას იღებენ „განიარაღებაში“.

ნიუ-იორკი, 31 იანვ. სახელმწიფო დეპარტამენტმა ერთა ლიგას ოფიციალურად აცნობა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობას მიიღებენ განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე.

შეთანხმება მეწყვეულობის მრეწველობის შესახებ.

ვაშინგტონი, 31 იანვ. გარეშე საქმეთა სამინისტრომ იაპონიიდან მიიღო მიწვევა იმ სახელმწიფოების კონფერენციაზე, რომელთაც 1911 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებაზე მეწყვეულობის მრეწველობის შესახებ. შეთანხმების ვადა თავდება 1926 წლის დეკემბერში.

არსებული ხმების თანახმად გარეშე საქმეთა სამინისტროს სურს მიიღოს იაპონიის მიწვევა, მაგრამ სამინისტრო ფიქრობს შეიმუშაოს ისეთი ფორმულა, რომელიც მას საშუალებას მისცემს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე ისე, რომ არ იცნოს საბჭოთა კავშირი, რომელიც ავრეთვე მიწვეულია კონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საბჭოთა და საერთაშორ. ეკონომიკურ. ბიუროების საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 1 თებერვალი. საბჭოთა სავაჭრო დარგის მოსამსახურეების კავშირის ცეკას პლენუმმა გადასწყვიტა 15 მაისისათვის მოიწვიოს სა[illegible]თა და საკავშირო დარგის მოსამსახურეების საკავშირო კონფერენცია.

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 1 თებ. დაიხურა სასასოფლო-სამეურნეო და სატყეო მრეწველობის საკავშირო ყრილობა. [illegible]

საბოლოო სხდომაზე მოსმენილი და დამტკიცებული იქნა რეზოლიუციები ყველა მოხსენებების შესახებ.

ყრილობა აღფრთოვანებით და მქუხარე ტაშით შეხვდა უცხოელ სტუმრებს, შვეიცის სატყეო მუშების წარმომადგენელს გენრიხსონს და ჩეხო-სლოვაკიის სასოფლო-სამეურნეო მუშების დელეგატს გლაუზეკს.

კავშირის ცეკას შემადგენლობაში არჩეულ იქ[illegible] 81 კაცი, აქედან: 7 საბჭოთა მეურნეობის მუშა, 4 მოჯამაგირე, 2 სატყეო მუშა, 3 მწყემსი, 2 მეტყევე და 81 „წამოყენებული“ გლეხი.

ყრილობის დახურვის შემდეგ კავშირის ცეკას პლენუმმა ანცელეევი აირჩია კავშირის ცეკას თავმჯდომარეთ და კულიკოვი მდივნად.

ავუნდლების გაფრენა

მოსკოვი, 1 თებ. 30 იანვარს ლენინგრადიდან ნორვეგიაში გაემგზავრა ლეიტენანტი ლარსენი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ამუნდსენთან ერთად ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენაში. ლარსენი ლენინგრადში ჩამოსული იყო ანალი გადაფრენის მოსაზადებლად.

გამგზავრებამდე ლარსენმა განაცხადა, რომ დირიჟაბლი, რომელიც მოხდება გადაფრენა, ლენინგრადში ჩამოფრინდება 15 აპრილს. ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენისათვის მზადება დაახლოებითი სამი კვირა დასჭირდება. ამ ხნის განმავლობაში ექსპედიციის მონაწილენი დარჩებიან ტროიკაში, სადაც მალე დაიწყება მუშაობა ანგარის შესაკეთებლად. ტროიკიდან პოლუსზე გადაფრენას ამუნდსენი ფიქრობს 2 მაისს.

ფრუნზეს ხსოვნის უსვლადაფიქსა

მოსკოვი, 1 თებ. ფრუნზეს ხსოვნის უკვდავსაყოფად საბჭოთა კავშირის რევოლიუციონერ-სამხედრო საბჭომ დაადგინა სამეფლო გემს „ფრუნზე“-ს დარქვას „ფრუნზეს“. სამხედრო-საზღვაო სასწავლებელს და კრონშტადტის ერთ-ერთ ფოლტს ერქმევა ფრუნზეს სახელი.

ხელფასის გასაზღვრის მოწესრიგება

მოსკოვი, 1 თებ. მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემის მოსაწესრიგებლად და სამუშაო დროის გადედნის თვიდან ასაცილებლად საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა სამეურნეო ორგანოებს ხელფასის გაცემა აწარმოონ ან მუშაობის ადგილას ან უკიდურეს შემთხვევაში მუშაობის ადგილის ახლოს.

ხელფასი უნდა დარიგდეს სახელოსნებით კონვერტებში, რომელზედაც უნდა იყოს აღნიშნული ხვედრი ფულის რაოდენობა. საგანგარიშო წიგნაკები უნდა დაურიგდეს მუშებს ხელფასის გასტუმრებამდე ერთი დღით ადრე, რათა თვითეულმა მუშა-მოსამსახურემ გაიგოს, რამდენი ერგება მას. ხელფასის გაცემა უნდა სწარმოებდეს კოლექტიურ ხელშეკრულებაში აღნიშნულ დღეებში.

ფართო მაუწყებელ რადიო-სადგურების საერთაშორისო კვირეული.

მოსკოვი, 1 თებ. ახლო ხანში გაიმართება ფართოდ მაუწყებელ რადიო-სადგურების საერთაშორისო კვირეული. ამ კვირეულში მსოფლიო ყველა ფართოდ მაუწყებელი სადგურები განავითარებენ მაქსიმალურ ენერგიას.

როგორც წარსულ წლებში, ამ კვირეულის განმავლობაში ფართო მასშტაბით გაიმართება რადიოს გადაცემა შორეულ მანძილზე. ამერიკელი სადგურები ყოველდღე გადასცემენ საღამოს 11 საათამდე სპეციალურ პროგრამებს ევროპის მსმენელთათვის. საღამოს 11 საათიდან შუალამემდე ამერიკის სადგურები ჩუმდებიან, რათა საშუალება მიეცეთ მათ მოისმინონ ევროპის სადგურების მუშაობა:

ამ კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ 15-ზე მეტი ქვეყნის დიდი რადიო-სადგურები.

უკრაინა

გეაპების რევოლტი

ოდესა, 1 თებ. მარტის სახელოსნების ქარხანაში სასწრაფოთ სწარმოებს ათი გემის შეკეთება აზოვის, ნიკოლაევის და ხერსონის სამგზავრო ხაზებისათვის.

მთელი რიგი გემების შეკეთების შემდეგ გადაყვანილი იქნება აზოვის ზღვაზე პორთი წასაღებად საზღვარგარეთ.

საბჭოთა საეკონომიკო ფლოტი პირველად გახსნის რეისებს დონზე, სადაც გარდა მგზავრების გადაყვანისა, მოეწყობა ტვირთების გადაზიდვა.

ჩინელი მუშების შეშის დასამზადებლათ

ბლაგოვეშჩენსკი, 1 თებ. ჩინეთის მუშათა ერთი პარტია ემზადება ურალის ოლქში გასამგზავრობლათ და შეშის დასამზადებლათ. აღნიშნულ პარტიაში მიიღებიან უმთავრესად კავშირთა უმუშევარი წევრები. სულ განზრახულია 10.000 მუშის გაგზავნა ბლაგოვეშჩენსკიდან.

საინძარის ასანთის ფაბრიკაში „რევოლუციონერ პუტ“.

ბომბეი, 1 თებ. დაიწყო ასანთის ფაბრიკა „რევოლიუციონერ პუტ“. ფაბრიკა ამზადებდა 80 ყუთ ასანთს დღეში, მასში მუშაობდა 700 მუშა. ხანძრის დროს გაფუჭდა ახალი საზეგარგარეთელი მანქანები, დაახლოებით გამოანგარიშების თანახმად, ხანძრისაგან მიყენებული ზარალი უდრის 200.000 მანეთს. ცეცხლისაგან გადაარჩინეს ქვაბების განყოფილება, საერთო საცხოვრებელი, საწყობები და მასალები. მუშების დიდი ნაწილი დაიშვნარ ფაბრიკიდან გადაყვანილი იქნა მეზობელ ფაბრიკებში.

პრედიტები მუშათა კოოპერაციას

მოსკოვი, 1 თებ. შესდგა სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკის, მუშათა ცენტრალურ სექციის, ტრანსპორტის სექციის, პროფკავშირთა ცეკას და საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა მუშათა კოოპერაციისათვის საკავშირო კოოპერატიულ ბანკის მიერ კრედიტების მიღების საკითხი.

თათბირმა თავის რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ საკავშირო კოოპერატიულმა ბანკმა სათანადო ხაკმაო კრედიტი ვერ მისცა მუშათა და სატრანსპორტო კოოპერაციას. მეორე მხრით, მუშათა კოოპეოაციამ ვერ გამოიყენა საკუთარი მისთვის მიცემული კრედიტები. ამ რიგად, საკრედიტო ფონდი ნაწილობრივ დაბანდებული იყო სხვა სახის კოოპერაციაში, რის გამო საჭიროა განთავისუფლებული იქნეს ის თანხები, რომელიც გადადებულია მუშათა და სატრანსპორტო კოოპერაციისათვის, და გადაცემული იქნეს დანიშნულებისამებრ.

პურის დაგზავნის კამპანიის პერსპექტივები

მოსკოვი, 1 თებ. ზრომის და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე 27 იანვარს შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ვეიცერმა გააკეთა მოხსენება პურის დამზადების კამპანიის მიმდინარეობისა და პერსპექტივების შესახებ.

ვოიცერმა განაცხადა, რომ კამპანიის წარსულ ნახევარი წლის განმავლობაში სხვადასხვაგვარი პურეული დამზადებულია 322 მილ. ფუთი, ე. ი. წლიური გეგმის 55 პროცენტი. ამ პირველ ნახევარში დამზადებული 22 მილიონი ფუთი. თუ მიკიდებთ მხედველობაში, რომ იანვრის მეორე ნახევარში დამზადებულ იქნება ასეთივე რაოდენობა, მაშინ დამზადების კამპანიის ბოლომდე დარჩება დასამზადებელი 250 მილ. ფუთამდე.

გადადის რა ფასის საკითხზე, ვეიცერი აცხადებს, რომ ოქტომბერში ადგილი ჰქონდა ფასების დაკლებას, მაგრამ დეკემბრიდან ფასები ზოგიერთ პურეულზე იზრდება: განსაკუთრებით გაძვირდა ქერი, უფრო ნაკლებად ხორბალი.

უკანასკნელ დროს პურის დამზადების მსვლელობაში აღგილი აქვს ისეთ ნიშნებს, რომლების მიხედვით პურის დამზადების კამპანიაში უნდა მოხდეს გადადგომა. ეხლა ადგილი აქვს შემოხიდვის გაძლიერებას მთელ რიგ რაიონებში. ვეიცერი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი გარდატეხის ხასიათის სერიოზულობაზე; რამდენათ მნიშვნელოვანია ეს გარდატეხა ახლო მომავალი გეგმისთვის.

რაც შეეხება პურის მოხმარებას, მიმდინარე წელს ჩვენში პურის მოხმარება გადიდდა 40 პროც. ეს ახსნება მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდით და პურის დამზადებელთა როლის გადიდებით პურის განაწილების საქმეში. ამ ფაქტში იფარვება მუშაობის მთელი სიძნელე. ეინიდან ამ „ეზეთად მუშაობის“ მასშტაბი შესაძლებელია გაიზარდა წარსულ წელთან შედარებით. პურის დამზადებელთა არა ხელსაყრელი ზდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება ფინანსების სისუსტით.

კამათი ვეიცერის მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, უწყებებისა და კოოპერაციის წარმომადგენლებმა.

კამათის შემდეგ ზრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებათა, რომელთაც გაუმჯობესება უნდა შეეტანონ მიმდინარე პურის დამზადების კამპანიაში და უნდა უზრუნველყონ პურის დამამზადებელ ეგელ ორგანოების მუშაობა პურის დამზადების ახალ კამპანიის დროს.

საერთაშორ. ეკონომიკური კონფერენციის

რა ხდება ემიგრაციაში

დ. მხეიძის „ბრალდებ.“

თბილისის და, აგრეთვე პარიზის [illegible] ბეჭდვილ ორგანოებში [illegible] ბეჭდილ ნამდვილი სისხლის სამართლის დანაშაულის წინაშეც კი.

მათ გაიტყუეს დ. ჩხეიძე მისი ნერვიული იქვიანობის პროვოკაციული გამოყენებით და შემდეგ ისეთ საშინელ პირობებში მოაქციეს, რომ სრულებით ჯანსაღი ადამიანიც კი შეიძლება გაგიჟდეს.

ამ ეამად ჩვენ არ შეგვიძლია გავაკეთოთ ყველა დასკვნები და მოვახსენოთ მკითხველს ყველა კომენტარია ამ საქმისა, რადგან ამის შესახებ გამოძიებაა სწარმოებს ფრანგული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, (ადვოკატ ტორესის მოთხოვნით).

მაგრამ ერთი რამეს თქმა კი შეგვიძლია ეხლავე ემიგრაციის იმ ეულლბრუყვილო ნაწილის საყურადღებოთ, რომელიც მისმა ლიდერებმა მართლა დაიჯერეს— „ვეშაჰეულმა მხეიძე მოიტაცა“-ო. თუ მხეიძე „ვეიეი“ იყო, რატომ იყო იგი ასე წყნარათ მთელი კვირის განმავლობაში, ბოლშევიკური „ტყვეობის“ დროს, სახლშიც და ქუჩაზედაც და რატომ დაიწყო მან ასეთი მართლაც ამერიკული ტრიუკები და სკანდალები, როგორიცაა კედელზე ხტომა ან და ხალხს გალახვა, მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოხვდა მისი „მეგობრების“ ხელში „საექიმოთ“?

ერთი თქმულება ამბობს, რომ ქარაგი ცხოვრებიდან არავინ გარბისო: მით უფრო არავინ გადახტება საკენიან კედელზე!

ამიტომ მივმართავთ ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს საზოგადოებრივი სინდისის ლოიკა,—ჩაერიონ მართლაც უბედური დავით მხეიძის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში და იხსნან იგი, როგორც ადამიანი მაინც.

ნუ თუ ემიგრაციის ლიდერებს, უფლება აქვთ დაამწყვდიონ კაცი, რომელიც თუ ავადყოფი არის, მხოლოდ იმითი, რომ მას თავის სამშობლოში და თავის ოჯახში დაბრუნება მოეწყურა და რომელსაც, გარდა ნათესავისა, ვერავინ მოუვლის ისე, როგორც საჭიროა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ვიზის მიცემით და ამნისტიით სათანადო საშუალება მისცა დავით მხეიძეს, დაუბრუნდეს სამშობლო კერას და ოჯახს.

ნუ თუ ემიგრაციის ლიდერებს უფლება უნდა მიეცეს, მიუხედავათ ამისა, დაღუშინ საგიეთში უბედური კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი მიეშალონ აჯანყების დანარჩენ მონაწილეთ, გაკვეულ დ. მხეიძის გაბედულ პოლიტიკურ ნაბიჯს და დასტოვონ ემიგრაცია?

ემიგრაციის ლიდერები ჩადიან ამას იმიტომ, რომ მათთვის უფრო საშიშია საბჭოთა ხელისუფლების ლმობიერება და ასეთი ამნისტია ყოფილ ანტიბოლშევიკების შესახებ, ვიდრე ისეთი აქტი, რომელიც [illegible] ეს [illegible] ლიდერებს ხელისუფლებას მამრთველი პარტიის გარეშე მყოფი ხალხის ნაწილისაგან.

დროა, რომ ემიგრაციის მასამ, რომელსაც არავითარი ინტერესი არ აქვს, გადაყვეს საზღვარ გარეთ მყოფ ყოფილი ქართველი მინისტრების ან და კანდიდატების გამინისტრებას,—ანგარიში გაუწიოს შექმნილ შდგომარეობას და საშუალება მოუსპოს ემიგრაციის ლიდერებს, პროვოკაციულათ და ხელოვნურათ დაუკერტონ ემიგრანტებს სამშობლოში მიმავალი გზა.

„ახალი საქართველო“-ს რედაქცია.

„ახ. საქ.“ № 18.

უკანასკნელი ცნობები

ხელშეკრულება მეჯლისის კომისიაში

ანგორა, 31 იან. საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთის ხელშეკრულება, რომელიც გასული წლის 17 დეკემბერს დაიდვა პარიზში, მთავრობამ გადასცა მეჯლისის გარეშე საქმეთა კომისიას. ხელშეკრულების რატიფიკაციას მოელიან ამ ერთ კვირაში.

იაპონიის კარლამენტში

ტოკიო, 31 იანვ. განახლდა იაპონიის პარლამენტის სხდომები.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ახალმა პრემიერმა ვატა-ეტკიმ, რომელიც აქამდა ყოფილ პრემიერის კატოს მოლვაწეობას; ვატაეტკიმ განაცხადა, რომ საკანონმდებლო პროგრამა შეუკვლელათ დარჩებაო.

კოალიციის წინააღმდეგ

ლონდონი, 31 იანვ. ლიბერალური პარტიის ლიდერმა ლორდ ოქსფორდმ განაცხადა, რომ ლიბერალური პარტიამ გადასწყვიტა შეინახოს თავისი პრინციპები. ძან უარყოფ კოალიციას სხვა პოლიტიკურ პარტიებთან.

არჩევნები ნახიჩევანში

ნახიჩევანი, 1 თებ. მთელ ნახიჩევანის რესპუბლიკაში დაიწყო საბჭოთა არჩევნები.

ელეხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში. სოფ. ჯაგრში გადარჩევაში პირველად მონაწილეობდა 130 თურქი-ქალი.

სოფ. ტეფაში გადარჩევის კამპანიის დროს ორმა მოლამ სახალხოდ განაცხადეს ეარი მოლობაზე და განაცხადეს შეიტანეს ჩარიცხონ ახალი მშრომელ გლეხებში.

რწმუნებულთა ყრილობა.

ნახიჩევანი, 1 თებ. 31 იანვარს გაიხსნა ნახიჩევანის ს. მომხმარებელთა კოოპერაციის რწმუნებულთა III 4 ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობს ა ზაკავშირის წარმომადგენელი.

ზარალი ხანძრისაგან

სოხუმი, 1 თებ. ირკვევა საბჭ. სავ. ფლოტის საწყობებს ზარალი ხანძრისაგან მიეყენებული. დიდი ადანკლესი ნახა აფაზეთის სახ. ვ ჭ-ლებამ. დაიწვა რონდა-ნახევარი მანუფაქტურა. წახდა ერთი რონდიდ ქალალდი. დაიღუპა 12 000 მან. ღირებული ამერ-კავკასიის სახელმწიფო ეკონომიის საიმპორტო საქონელი. დაიწვა 5,000 მან. ღირებული თუთუნი. დაზარალდენ აფაზეთის სახ. მედ-ეკონომია, საკურორტო სამშართველო და კერძო ეკონომიები.

„ცენტრო.-სადგური შემახაში.

ბაქო, 1 თებ. გაგზავნილია სპეციალური კომისია ინჟინერ-ელექტრიკებისაგან შემდგარი შემახაში ელექტრო-სადგურების ასაგებად წინასწარ გამოკვლევებისათვის.

ამავე დროს მუშავდება პროექტი ძლიერი ელექტრო-სადგურის ასაგებათ ნ.ხიჩევანსა და ხახიჩევანის მარილის საწარმოო რაიონის საჭიროებისათვის.

პრემიები

ბაქო, 1 თებ. თუთუნის წარმოების გასაფართოებლად და მისი საუკეთესო დასამუშავებლად, ზაქათალის მაზრაში დიდ ყეს მეთაბაქოთათვის პრემიების მიცემა იმათთვის, ვინც საუკეთესო ხარისხის თამბაქოს დამზადებს წელს.

ალეშენგლობა სომხეთში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ფართე მასებს ძალიან ხშირად არა აქვთ სრული წარმოდგენა იმის, თუ რა ალმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს აქეე, ჩვენს მახლობლათ, მეზობელ რესპუბლიკაში.

და განა თუ მარტო ფართე მასებს, არამედ თვით— პასუხისმგებელ ამხანაგებსაც ძალიან ცოტა სცოდნიათ, თუ რა ენერგიული და გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული სომხეთის სამეურნეო აღორძინებისათვის.

ა. | კ. ცაკის მეორე სესიის სომხეთის დელეგა-ქალაქ ერევანში დანიშნამ ამ მხრივ დიდი სარგებელი მოიტანა. ამ უმაღლეს ორგანოს ორასამდე წევრს საუკეთესო საშუალება მიეცათ თავიანთი თვალით გასცნობოდენ ამ თვთქოს დამუშერებულ და ნაყოფიერ მეშაობას, რომელიც სომხეთის გაჭირვებულ ხალხს დიდ შეღავათს ანიჭებს ცხოვრებაში მოსაგრებისა და წარმატებისთვის.

სომხეთის მეურნეობაში პირველი და უდიდესი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას. სომხეთის მთავრობასაც ყველაზე მეტი ყურადღება სწორეთ ამ დარგისთვის მიუქცევია.

ომის წინეთ ბამბის პლანტაციებს ექირავა 20.000 დესეტინა. ამ ეამათ მიღწეულია უკვე 15,000 დესეტინამდე. ხუთი ათასით ნაკლებია ვიდრე ომის წინეთ. დღევანდელი ალმშენებლობა და უკვე მიღებული ზომები კი ხელს უმართავენ, ამ ერთორ წელიწადში განა თუ მიაღწიოს ომის წინეულ დონეს, არამედ კიდევაც გადააჭარბოს. საამისოდ უკვე შექმნილია საუკეთესო პირობები.

მეცხოველეობის ცენტრს წარმოადგენს სარდარაბადის რაიონი, რომელიც მდებარეობს 50 ვერსის აქეთ ერევნიდან.

ავ-სსების, თესლისა და სამუშაო იარაღებისა და მანქანების მიწოდებით ერევნის ელექტრო-სადგურის დამთავრებისთანავე, ეს კი მოხდება დაახლოებით ამ ორ თვეში.

ამ ქარხნების გვერდით გაშენებული მუშათა საცხოვრებელი უბანი ორსართულიანი ქვის სახლებით. ყველგან სწარმოებს საბოლოო, გაცხოველებული მუშაობა. ეს ქარხნები უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებენ ყველა მნახველზე. არავინ ეელოდა, თუ სომხეთში ასეთი საფუძვლიანი ალმშენებლობითი მუშაობა სწარმოებდა.

* * *

ამის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უფროესად ერევნის ჰიდრო-ელექტრო-სადგურს, რომელიც შენდება ქალაქიდან 3—4 ვერსის დაშორებით ერთ საკმაო მოზრდილ მდინარეზე.

ესეც სულ ახალი ალმშენებლობითი შემოქმედებაა სომხეთის საბჭოთა ხელისუფლებისა. სადგური თითქმის დამთავრებულია და ორ თვეში უკვე მისცემს ენერგიას. სადგური არის ხუთი ათასს ცხ.ძალიანი. მხოლოდ ამ კერძობაზე მოწყობილ იქნება ერთი ტურბინი, რაც მისცემს 2500 ცხ. ძალას. ამ სადგურმა, გარდა ქალაქის განთბებისა, ენერგია უნდა მიაწოდოს ახალ ქარხნებსაც.

სადგური საუკეთესო და ლამაზ ადგილას არის გაშენებული, რაც ზაფხულში ნამდვილ ედემათ უნდა ჩაითვალოს მთელი იმ არე-მარეს.

* * *

ამას გარდა მიწ.-მოქ. კომისარიატს ერთ-ერთ მახლობელ სოფელში მოწყობილი აქვს ღორების სანიმუშო საკვიზე, რომელსაც ამშენებენ ინგლისური ოცფუთიანი ნარკვირები. იქვე დაუწყეთ მეთაბაქოობა, რაც ჯერ-ჯერობით ახალი საქმეა, და მეხილეობა. იქვე არის ფერმა ჯიშიანი საქონლისა, რასაც კიდევ უპირებენ გაფართოებას.

თვით ქალაქ ერევანში არსებობს ყოფ. შუსტოვის კონიაკის ქარხანა, მას ამუშავებს უმაღ. სამ. საბჭო. ესეც ერთი უდიდესი წარმოებათაგანია სომხეთის თანამედროვე მეურნეობაში.

* * *

ამას გარდა ქ. ლენინაკანში ამუშავებულა კარგა მოზრდილი საფეიქრო ფაბრიკა, რომლის გვერდზეც ეწყობა კიდევ უფრო დიდი მსგავსი ფაბრიკა.

რაც შეეხება ალავერდის სპილენძის მაღაროებსა და შირაქის არხს, —ამაზე უკვე ხშირათ ყოფილა დაწერილი და ამ წელში აღარ არის საჭირო მათი საგანგებოთ აღნიშვნა.

კულტურულ დარგის ალმშენებლობიდან უეჭველად უნდა მოვიხსენიოთ ერევანში სახ. მუზეუმის მოწყობა და გახსნა. ეს მუზეუმი საკმაო კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენს მთელი სომხეთისათვის. იქ საკმაო საყურადღებო კოლექციები მოიპოვება მხატვრობიდან (იტალიური და ფლამანდიური სკოლა, ალეგზოვის ღირსშესანიშნავი სურათები და სარანის თანამედროვე სკოლა). არა უშავს რა ფაიფურის კოლექციას და მინიატიურებს. მდიდარია ეტნოგრაფიული და არქეოლოგიური განყოფილება.

* * *

საერთოდ, როგორღაც, არავინ ელოდა ასეთი გამშედავ და ფართაგაშლილ ალმშენებლობას სომხეთში. მაგრამ როცა იხილეს ამდენი გაწეული მუშაობა, ყველაში დიდი განცვიფრება და კმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ განა მარტო განცვიფრება და კმაყოფილება, არამედ მიმბაძველობაც, რაც იხატებოდა ამხანაგების ერთმანეთთან აზრების გაზიარებაში. ალბათ ეს ნიბაძვა ცარიელ სიტყვათ არ დარჩება და სინამდვილეთ იქცევა იქ, სადაც ასეთი ალმშენებლობა საჭიროა, მაგრამ ჯერ კი საამისოდ არაფერი გაკეთებულა.

ა.—ი.

ადგილობრივ. ეკონომიკური

ბ.

პროლეტარიელო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალგზელი

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით
ბიბლიოთეკა

საშაბათი, 2 თებერვალი 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი"-ს ყოველკვირეული დამატება

№ 8

რა გზას უნდა დაადგენ ახალგზელები საგზოთა არჩევნებში

ყველა ჩვენთაგანისათვის აშკარა არის, რომ ახალგზელები არ წარმოადგენენ რომელიმე პოლიტიკურ-ორგანიზაციულ დაჯგუფებას, რომელთა მისწრაფება ეწინააღმდეგება საბჭოთა დემოკრატიის საერთო მისწრაფებას.

ისტორიულად, ახალგზელობა შეიქმნება გამართლებულ იქნას მით, რომ ქართველი საზოგადოების საღათ მოაზროვნე ნაწილმა ხელი აიღო არსებულ ხელისუფლების პოლიტიკურ მიზნებისაღში დაპირისპირებაზე, შესვლოდა თავის პოლიტიკური სვლის ეზი და, საქართველოს აღორძინების თვალსაზრისიდან გამოსული, პრინციპიალურად დაადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზას კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით.

თვით სახელწოდება „ახალგზელი" წარმოადგენს არა ლამაზ ფრაზას, არამედ თანამედროვე ისტორიულ პირობების პრაქტიკულ ფილოსოფიას.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში მოგვეკრა „ფუნესტიკური" პარტია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა ფიქრი იმისა, რომ ის მოგვეკრა ჩვენ მხოლოდ რაღაცურ ძალის და არა თავის რეალურ პოლიტიკის წყალობით ჩვენ ნაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კომუნისტური პარტია ჩვენ მოგვკრა თავის რეალური პოლიტიკით.

რისთვის ვებრძოდით ბოლშევიზმს?

გვეშინოდა რა საქართველოს გარუსების, მოვითხოვდით საქართველოს გაქართულებას.

გვეშინოდა რა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის, ვებრძოდით ამ დამოუკიდებლობისათვის.

გვეშინოდა რა ეკონომიურ გაჩაჩაკების, ვებრძოდით საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის.

აი რა იყო ჩვენი ეროვნული პროგრამა.

საბჭოთა ხელისუფლება ამ ეროვნულ პროგრამისათვის ჯვაროსნულ ომს გვიცხადებდა და გახა იმიტომ, რომ ის არსებითად წინააღმდეგი იყო ამისი, არა. ის გვებრძოდა იმიტომ, რომ ჩვენ ხელში მოთხოვნილებათა რეალური შინაარსით ეს პროგრამა არსებითად სხვა შინაარსით ივსებოდა რომ ამ აესებას თურმე ლამობდა ბოლშევიზმის კრიზისი წარმოდგენილია ხანგრძლივი პროცესის შედეგით. ამ ერთი წლის უკან კი აგვისტოს ავანტიურის ფატრაკს უფრო სწრაფი და მარტივი ანგარიში ჰქონდათ ალბათ საერთაშორისო ბურჟუაზიებს! ბაჭრო იყო დაკარა, სისხლიანნი დეემოსტრაციი და ამას უნდა მოყოლოდა გამარჯვება. თუ როგორი „ბრძნული" გამოდგა სიტუაციის შეფასება—და ბასზედ აშენებული ნირფრგიული ოპერაცია ქართველი ხალხის ცოცხალ ორგანიზმზედ—ეს დღეს ყველასათვის ცხადია და ამაზედ არ შევჩერდებით. ამუამად ჩვენ გვაინტერესებს ის საკითხი, თუ რა გზით ფიქრობს შემდეგში მაინც „ომოლვაწის" პარაზიტ ხ. დეშ. პარტიულმა არისტოკრატიამ?? რაზე დამყარებული მათი ტაქტიკა, მათი პოლიტიკა და რა ღირებულებას წარმოადგენს მათი დიაგნოზი საერთაშორისო მდგომარეობის საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული? როგორი „პოლიტიკური ფილოსოფიით" აკვებენ თავის მრეველს ეს უჯარო გენერალები.

დავიწყოთ რუსეთიდან! ხდება თუ არა მისი სტაბილიზაცია, განმტკიცება თა მისი წონასწორობის აღდგენა, თუ ის მარილა დაძაბუნებულია, თანხის ფეხებზედ ადგას და საკითხი ერთი მაგარი შენძრევა, რომ ის დედამიწაზედ დაენარცოს. ეი კითხეები, რომელზედაც პასუხის ნიკეტა არ შეადგენს დიდ სიძნელეს, არა თუ სპეციალიტ პოლიტიკისათვის, არამედ საშუალო ტიპის პოლიტიკურ მოღვაწისათვისაც.

და ამ დასმული კითხვებზედ რომ გავსცეთ პასუხი, საჭიროა პატარა ისტორიული ექსკურსია.

საბჭოთა რეჟიმს, როგორც ვიცით, ომი გამოუცხადეს—არა მარტო მონარქისტებმა, რომელნიც იმ დროს მასიურ მეგრძოლ ძალას წარმოადგენენ რუსეთში, არამედ ამ ბრძოლას გვერდში ამოუდგა დიდი ნაწილი ინტელიგენციისა—ეგრედ წოდებული ოფიცალისტები და ცენზიანი ანუ ბურჟუაზიული დემოკრატია. ამ ანტიბოლშევიკურ ბლოკს დიდ დახმარებას უწევს ფინანსიური და მორალურად საერთაშორისო ბურჟუაზია ე. ს. ანტანტის სახით. ეს იყო ხანა ინტერვენციისა, ფული, ხაომარი იარაღი და სხვა ხახმარება ევროპიდან უზედან მოდიოდათ ანტიბოლშევიკურ ძალებს სამოქალაქო ომის დროს. ბოლშევიკებმა ამ ძალებს დაუბრალეპარა რევოლიუციურად განწყობილი მუშათა კლასი და გლეხკაცობის მოწინავე ნაწილი. გაიმართა დიდი ხამოქალაქო ომები ოეთრგვარდიელების და წითლების შორის და რამოდენიმე სამეფოსწერო ფაქტების შემდეგ წითლებმა მოიგეს ომი. მოსტაუვდა ანგარიშებში ანტანტა და მისი უზედან გაბნეული ოკრო—ამენეცია—სამხედრო მასალები უმეტეს შემთხვევაში ისევ წითელ ჯარს ერგო. შემდეგ ამისა რუსეთს გამოუცხადეს ეკონომიური ბლოკადა (პოლიტიკური ხომ თავისთავად არსებობდა) და ამ გზით ლამობდენ მისი ხელისუფლების დაზარეკვას.

ამავე დროს რუსეთს დაატყდა თავზე დიდი სტიქიური უბედურება—შიმშილობა. ხალხი და მისი ხელისუფლება ბლოკადით და სიმშილით შემოკლტლული ტრადიციულ მდგომარეობაში იყო. ამ დროს ხელმეორეთ თავი წამოაყო ყველა შინაურმა და გარეშე მტრებმა—ფეოქრიანენ, დიდგა ეამი კომუნისტებთან უკანასკნელი ანგარიშის გასწორებისათვის. ჩვენც, ქართველი მეზღვაურები, დიდ ინტერესით ვადევნებდით ამ დროს ზ. ჩვენებში საკუთარი სიით გამოსვლის ცდა. რამდენნაირ ჩვენ მიზნათ ვისახავთ მშრომელთა ფრონტის მთლიანობის აღდგენას, იმდენათ უნდა აუაროთ გვერდი გამთვრალ ეროვნულ პოლიტიკას. პროვინციელი ამხანაგები უნდა ჩაუკვირდენ ამ საკითხს და არ აჩქარდენ მის გადაწყვეტაში. როდესაც ახალგზელებმა თავის უკანასკნელ თათბირზე გადასწყვიტეს კომპარტიასთან ორგანიზაციული დაკავშირება, ამას არ ჰქონია კომპარტიასთან პარიტეტულ შეთანხმების ხასიათი. არც კომპარტიას აუღია თავის თავზე ვალდებულება და არც ახალგზელებს მოუთხოვიათ ძალაუფლების განაწილება.

ახალგზელები მივიდენ ხელისუფლებასთან არა ძალა-უფლებაში მონაწილების მიღების, არამედ ამ ხელისუფლებისათვის დახმარების მიზნით. აქ არ იყო დასმული კოალიციის საკითხი.

რამდენათ ეს ასე არის, იმდენათ უაზრობა იქნებოდა კომპარტიასათვის წაგვიყენებია მოთხოვნილება, რომ საარჩევნო სიაში ახალგზელების განსაზღვრული პროცენტი აუცილებლად შეეტანათ. ეს მოთხოვნილებაც პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

გაეროვნებისთვის

„მუშათა კომისიამ" თავის ყოველკვირეულ ჟურნალის „ახალ გზის" № 13-ში გასულ 1926 წელს წამოაყენა შემდეგი დებულება: „გაეროვნების გარშემო ათასგვარ ჭორს, სიყალბეს, ცილისწამებას, მტრობასა ლ ეროვნულ სიძულვილს აქვს ადგილი. გაეროვნებასთან ერთად ყოველივე ამას მოეღება ბოლო და მაგრამ ოაგაში ამოიდება ვიწრო ნაციონალიზმი და შოვინიზმი. თავის ჟურნალის თითეზის ყოველ ნომერში „მუშათა კომისია" აიზკარავ ბდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაეროვნების გატარებაზე არა ერთხელ გამოცემულ დადგენილებების შემფერხებელ მოვლენებს, აშხელდა ამ პირებს და დაწესებულებებს, რომელნიც არ ატარებენ ცხოვრებაში ამ დადგენილებებს, მოუწოდებდა სახელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებათა თანამშრომლებს ამ საქმისადმი სათანადო ყურადღების გამოჩენისაკენ და სხვ.

ჩვენ ისაც კარგად ვიცით, რომ გასულ 1925 წელს და წინა წლებშიაც მთელ რიგ დაწესებულებებში მიღებულ იქნა ტაქტიკა დადგენილებები გაგროვნების პრაქტიკულად გატარების შესახებ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ ისე ადვილად ფიქრობ 1926 წელში, რომ სრული გაეროვნება ჯერ ჯერობით კიდევ არ არის მიღწეული. საქართველოს ყველა დაწესებულებებში არაა შექმნილი ადგილი პიროვნები, რომ ახალ თანამშრომლის მიღებისა, თუ ძველი კადრის შეფასების დროს, გამოდიოდენ იმის გათვალისწინებიდან, თუ რას წარმოადგენს სამსახურში მისაღები ან უკვე მოშუშავე პირი ქართული ენის ცოდნის მხრივ.

ავილოთ უაღრესად მუშური დაწესებულება, რომელიც თავის დანიშნულებით მოწოდებულია ჩაბას აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში მშრომელთა რაც შეუძლება ფართო მასები—ჩვენ ვლაპარაკობთ პროფკავშირებზე—და ენახოთ როგორია აქ მდგომარეობა ამ მხრივ.

ჩვენ ვიცით დადგენილება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი (რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „მუშის" შარშანდელ № 38 ში) გაეროვნების მტრების შესახებ. ჩვენ ისიც კარგად უწყით, რომ ამ დადგენილების შემდეგ პროფკავშირებმა ქართულ ენაზე აწყეს მიწერ-მოწერა ადგილებთან. მაგრამ ჩვენ იმის მოწმეიც ვართ ერთხელ ვყოფილვართ, რომ ზოგიერთ პროფკავშირის მიერ მოწვეულ კონფერენციებზე რუსულის აოიცოდნე ამხანაგები ლრმა ძილს ბასცემდენ ხოლმე თავს, ვინაიდან მათ არ ესმოდათ, თუ რას ლაპარაკობდენ მონაწილენი და მოკამათენი.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად გვიჩვენებს, რომ გაეროვნების გატარებისათვის არ კმარი ზოგადი ხასიათის დადგენილებები და ცირკულარები. საჭირო არის საკანონმდებლო წესით მიღებული დამატებითი ხასიათის პრაქტიკული ღონისძიებები, რომ ამ ზოგადმა დადგენილებამ ნაყოფი შეისხას.

გაზ. „მუშის" 1926 წლის იანვრის 5-ის ნუმერში დასახელებულია მთელი რიგი მაგალითებისა გაეროვნების საქმის შეფერხების შესახებ. პატივცემულ გაზეთის redakcia-ს კი როგორც ეს ბოლოს ნაბეჭდ ნომერში ჩანს, ეს ფაქტები ეჩვენებოდა ერთ-ერთ ადგილზედ ბოროტ ხასიათად, ანუ ეს ფაქტები ეჩვენებოდა ზარბაზნი, თოფი, ტყვია,—ბარბაროზული გზები—აი ეს გახდა ნაციონალური ჩარჩოების საგანი—ეს ფაქტები ეჩვენებოდა ეროვნული ოფიციალიზმის ნაშიერ ეროვნულ ოფიციალიზმის ნაშიერ ეროვნულ ოფიციალიზმის ნაშიერ ეროვნულ

პარტიული ცხოვრება

პარტკორზე და ადგილობრივ პარტ-ცხოვრების გაშუქებაზე

ჩვენ კიდევ გვიხდება პარტიულ კორესპონდენტების შესახებ წერა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ზოგიერთი ამხანაგები ადგილობრივი ორგანიზაციებიდან ამბობენ: რა უნდა სწეროს პარტიულმა კორესპონდენტმა, როდესაც გლეხკორი და მუშკორი ყველაფერს სწერენ, რაც სოფლებში ან ფაბრიკა-ქარხნებში ხდებაო

უნდა ითქვას, რომ ეს ყალბი შეხედულებაა. პარტკორს ბევრ რამეზე აქვს საწერი, რასაც გლეხკორი და მუშკორი არ ეხებიან. პარტკორმა უმთავრესად ადგილობრივი პარტიული ცხოვრება უნდა გააშუქოს. მაგრამ ადგილობრივი პარტიული ცხოვრების გაშუქება იმით კი არ უნდა ამოიწუროს—შესდგა უჯრედის კრება, გაკეთდა მოხსენება და მიღებულ იქნა რეზოლიუცია; მორჩა და გათავდა, პარტკორმაც შეასრულა თავისი მოვალეობა. სრულიადაც არა.

პარტკორი, ისე როგორც მუშკორი და გლეხკორი, უნდა აშუქებდეს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას აღნიშნით, თუ რა როდის თაობაზე პარტიის კომ. უჯრედი, თემკომი, ან კომკავშირი ამ ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მოვიყვანოთ მაგალითი: ამ ახლო ხანში მთელ საქართველოში დაიწყება თემის საბჭოთა არჩევნები. ამ არჩევნების სათანადოთ ჩასატარებლათ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ცენტრში და ადგილებზე კარგა ხანია ემზადებიან; პარტიის ხაზი საკმაოდ დაცული უნდა იქნეს; ეს ხაზი კი იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტი გლეხობა იქნეს ჩაბმული არჩევნებში, დაცული იქნეს დემოკრატიზმი, საბჭოში მეტი ადგილი დათმოთ უპარტიო გლეხებს და სხვ.

აი, ამ არჩევნების შესახებ პარტიულმა კორესპონდენტმა—პარტკორმა უნდა მოგვაწოდოს ცნობა: როგორ ხელმძღვანელობდა პარტიის უჯრედი ან თემკომი ამ არჩევნებს, როგორ ჩაატარა წინასწარი საარჩევნო კრებები; რა ზომები მიიღო უჯრედმა ან თემკომმა, რომ უპარტიო გლეხებში ფართოდ გაეშუქებია საბჭოს მნიშვნელობა და ამით დაეინტერესებია ისინი; იკითხებოდა თუ არა საანგარიშო მოხსენებები თემის საბჭოს მუშაობაზე; რა მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში კომკავშირელებმა გლეხქალებმა, ან თუ გაიყვანეს საბჭოში გლეხები-ქალები; სოფლის ღარიბეები გლეხები და მოჯამაგირეებითუ იჩენენ არჩევნებში აქტივობას და სხვ. ყველა ეს საკითხები უნდა გააშუქოს პარტიულმა კორესპონდენტმა.

რასაკვირველია, საბჭოთა არჩევნებს შეეხებიან გლეხკორებიც და მუშკორებიც, მაგრამ ზემოჩამოთვლილ საკითხებს ისინი არ შეეხებიან, არ გააშუქებენ სრულად. პარტკორმა კი სწორეთ ამ მხარეს უნდა მიაქციოს ყურადღება, გააშუქოს, თუ როგორ გაატარეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის ხაზი.

კიდევ, დღეს გაფაციცებითი მუშაობა სწარმოებს სოფლებში კოოპერატივების გასაჯანსაღებლათ, კოოპერატივების მომუშავეთა შერჩევისათვის, კოოპერატიულ საზოგადოებრივების განსავითარებლათ და სხვ. პარტკორის მოვალეობაა გააშუქოს პრესაში რა მონაწილეობა მიიღო მთელამ მუშაობაში ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ.

დაკიდევ განა ცოტა მუშაობას აწარმოებს პარტია სოფლებში, თემებში. ყველაფერი ეს გაშუქებას მოითხოვს პრესაში, რაც უსათუოდ პარტკორის მოვალეობას შეადგენს.

აქედან ცხადია, რომ ზოგიერთი ამხანაგის აზრი, თითქოს გლეხკორი სოფლის ცხოვრებას და მუშკორი ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრებას სრულად აშუქებდენ და პარტკორისათვის არ რჩებოდეს საქმე, ყოვლად უსაფუძვლოა. მუშკორს თავისი სფერო აქვს, გლეხკორს თავისი-და პარტკორს კი თავისი.

პარტკორებმა მუშაობა უნდა გაიცხოველონ, ადგილობრივი ორგანიზაციებს ავ-კარგი ყოველმხრივ უნდა გააშუქონ.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ლანჩხუთის პარტორგანიზაციის საერთო კრება

26 იანვარს ლანჩხუთში, ტეხნიკუმის დარბაზში შესდგა კომპარტიის და კომკავშირის ლანჩხუთის, რაიონის წევრთა შეერთებული კრება თემკომის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. გ. ფატურიას თავმჯდომარეობით და ლ. კუკულაძის მდივნობით. დღის წესრიგში იდგა **მოხსენება საკავშირო მე-14 პარტ. ყრილობის მუშაობის შესახებ.** მოხსენება გააკეთა ცენტრიდან ჩამოსულმა ამხ **მ. ოკუჯავამ.** მომხსენებელი ჭირველად შეეხო საკავშირო რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის დახასიათებას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მე-14 პარტ. ყრილობაზე წარმოებულ დისკუსის. მოხსენების დასასრულს უამრავ შეკითხვებზე ამომწურავ პასუხის გაცემის შემდეგ, კრებამ მიერ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის ორგანიზაციის საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. მ. ოკუჯავასი მე-14 პარტ-ყრილობის შედეგების შესახებ აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობის ახასიათებს ერთი მხრივ კაპიტალიზმის ნაწილობრივი **სტაბილიზაცია** და მეორე მხრივ დასავლეთ ევროპაში მუშათა მოძრაობის ზრდა; აღმოსავლეთის ჩაგრულ ერების განმანთავისუფლებელი მოძრაობა, მათი სიმპატია და დაძმობილება საბჭოთა რესპუბლიკებისადმი, საუკეთესო გარანტიაა რევოლიუციონური მოძრაობის გაღრმავებისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

საკავშირო რესპუბლიკებს ეკონომიური ზრდა ერთი უმთავრესი საფუძველია ჩვენი სიმტკიცისა საერთაშორის მასშტაბით. ჩვენი ეკონომიკა უკვე უახლოვდება ომის წინა არსებულ დონეს, ჩვენი მრეწველობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. სოფლიც არ რჩება ქალაქს, ის აღორძინების გზაზეა. ეკონომიური ჩქარი განვითარება სოციალისტურ კალაპოტში მიმდინარეობს. ამ სწრაფ ეკონომიურ განვითარების დროს ზოგი ამხანაგები ინგარიშს ვერ უწევენ, ვერ ერკვევიან, და ჩვენს მეურნეობას სახელმწიფო კაპიტალისტურ მეურნეობათა სთვლიან. ასეთი დებულების დამტკიცების ტენდენციამ თავი იჩინა მე-14 ყრილობაზე ლენინგრადის დელეგაციის სახით.

მე-14 პარტ-ყრილობის დადგენილებანი ლანჩხუთის სარაიონო პარტკრებას სწორათ მიაჩნია. ჩვენი ორგანიზაცია ერთად დარწმუნებულია, რომ მე-14-ე პარტ-ყრილობის დადგენილებანი კომპარტიის მიერ მტკიცედ და უმტკიცესოდ იქნებიან ცხოვრებაში გატარებული, ამასთან ერთად კრება დარწმუნებულია და ამედეს გამოსთქვამს, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია გამოასწორებს იდელეგაციის შემცდარ ნაბიჯებს და კვლავ გახდება საკავშირო კომპარტიის მოწინავე რაზმად.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ლ. კ.

ხელმძღვანელი ქარგათ მუშაობს

(სოფ. ბოჯორმა, გომბორის თემი)

სოფ. ბოჯორმაში პარტიის უჯრედი 1921 წლიდან არსებობს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლტოლვა პარტიისკენ უპარტიო გლეხების მხრით არას დროს წარსულ წლებში არ ყოფილა, ეხლა ყველა გლეხები სიამოვნებით ეწერებიან კომუნისტურ პარტიის რიგებში და ეწევიან შესაფერ მუშაობას.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ერთი სასიამოვნო გარემოება. ჩვენი უჯრედის ყველა სხდომებს და საერთო კრებებს ყოველთვის ესწრება ხელმძღვანელი, გომბორის თემკომის მდივანი. მოვა თუ არა, მაშინვე ჩაებმება გლეხებთან ბაასში, უნმარტავს ყველა მათთვის საჭირო საკითხებს, აძლევს ახსნა-განმარტებას საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის შესახებ. გლეხებიც მადლიერნი არიან.

გიორგი ხუბაშვილი.

ახალგაზრდათა კომუნისტური ჟვარდა

ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკა მაღალ კვალიფიციურ სპეციალი სტეგის მოგზადების შესახებ

მოსკოვი, 1 თებერვალი. ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკამ სახალხო მეურნეობის და საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტების მომზადების მიზნით გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი უმაღლეს სასწავლებლებში და მუშათა ფაკულტეტებზე მუშაობის გასაძლიერებლად.

კომკავშირის კომიტეტმა საუნივერსიტეტო ქალაქებში და სასწავლებლების უჯრედებმა ფართოდ უნდა დააყენონ თავიანთი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში. საჭიროა მოწესრიგებული იქნას საზოგადოებრივი და სასწავლო მუშაობის საქმე სკოლებში, გაუქმებული იქნას წრეების ზედმეტი რაოდენობა და გადაისინჯოს კრებების და სხდომების რაოდენობა პარალელიზმის და ზედმეტად დატვირთვის თავიდან ასაცილებლად.

ცენტრალური ადგილი კომკავშირის მუშაობაში უნდა დაიჭიროს მუშაობამ უპარტიო სტუდენტობასთან. აკადემიურ თვითმართველობის ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში უნდა იქნან ჩაბმული უპარტიოები და დაწინაურებული იქნას უპარტიო აქტივი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეების ჩაბმას სამეცნიერო წრეებში, რომლებიც უნდა იყოს შეფარდებული სასწავლო გეგმასთან.

უჯრედებმა უნდა იკისრონ საზოგადოებრივი აზრის და მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზატორის როლი და დახმარება გაუწიონ სახ. განათლების კომისარიატების ორგანოებს მის მიერ გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარებაში.

აკადემიური მეცადინეობის საკუთარი სტუდენტი-კომკავშირელები მაგალითს უნდა უჩვენებდენ დანარჩენ მშრომელ მასას. არაევთარი სხვა სამეშაო არაევთარ შემთხვევაში არ უნდა უშლიდეს ხელს ახალ. ლენინურ კომკავშირის ძირითად ამოცანის შესრულება, ე. ი. აკადემიურ მეცადინეობას და კურსის თავის დროზე დასრულებას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲜᲢᲘ

აჭარისტანი

ᲥᲐᲚᲑᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ

ბათუმი, 1 თებერვალი. 29 იანვარს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა სასტუმრო „ბორჯომში“ აღმოაჩინეს ყალბი ფულების მეკითხეველთა ჯგუფი. დაპატიმრებულია ამ ჯგუფის ორი წევრი, რომელნიც შეპყრობილ იქნენ ყალბი ფულების კეთების დროს. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩინეთ ყალბი ათშაურიანების მოსაჭრელი დაზგა და კალიდან გაკეთებული ყალბი ფულები. სწარმოებს ძიება დანარჩენების აღმოსაჩენად.

ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘ

ქობულეთი, 1 თებერვალი. ქობულეთის სამაზრო აგროსუნქტმა დაურიგა გლეხებს 1,500 მანდარინის ნერგი; ნერგები განაწილებულია იმ გლეხებს შორის, რომელთაც გასულმა ზამთარმა ბაღები ძლიან დაუზიანა.

ᲤᲐᲜᲔᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ბათომი, 1 თებერვალი. ფანერის ქარხნის წარმოების ნაყოფიერება გასულ თვესთან შედარებით გაიზარდა 15 პროც. ქარხანამ იანვრის განმავლობაში დაამზადა 260,000 ფურცელი ფანერი, რომელიც საზღვარგარეთ გაიგზავნა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲠᲘ

(ს. ბაილეთი, გურია)

ამას წინათ სოფელ ბაილეთს, გურიაში, ესტუმრა, როგორც ჩვენში ატყვიან, მისი საყვარელი შვილი, ქალაქად სამუშაოთ გასული, ისიდორე მექვაბიშვილი. სტუმარმა თავის ბავშობა მოიგონა, იხსოვა ძველი მეგობრები, მეზობლები და ნათესავები.

ბაილეთელები არც ისე პურნაყი ხალხია, რომ ასეთ ძვირფას სტუმართან თავი შეეოცებინათ. ხელად სუფრა, ზავი ლაგინებით ღვინო, შემწვარი ქათმები, ხაჭაპურები და გურული „ხასან-ბეგური“. გაიმართა ქეიფი.

ისიდორე მართალია ქალაქში გასული კაცია. მაგრამ ქართული სუფრის ადათ-ჩვეულებანი და მამა-პაპური სადღეგრძელოები მას სრულიადაც არ დავიწყნია. გაიხდა ერთი შეჯიბრება. „დალიე დამალევინე“. ადღეგრძელეს ყველა სუფრაზე დამსწრენი, ძოგოონეს მიცვალებულებიც და ხაჭაპურს ღვინო დაეწყეთეს:—„საუკუნო იყოს ხსენება მათი“. შემდეგ მოპყვენ შორეულ ძმა-მეგობრების და ნათესავების დღეგრძელობას. გამოცდილ თამადას, ანა სადღეგრძელო როგორ გამოელევა!

ბევრი სვეს და იმხიარულეს, მაგრამ საქმე მასპინძელის „ასაშენებელის“ დალევამდე მაინც ვერ მივიდა. მანამდი ურტყეს მოქეიფეებმა ერთმანეთს ჭიქები, სანამ ღვინომ ისინი იმღვინათ არ აიყვანა, რომ მათ თვალებში სუფრამაც და კარ-ფანჯარამაც ფერხულის თამაშობა დაიწყეს.

აიშალა საზოგადოება, ადგა სუფრიდან პატივცემული სტუმარი ისიდორეც და ბარბაც-ბარბაცით სახლისაკენ გაეშართა. ერთ მკლავეში ანაყის ბოთლებით და კვერცხებით სავსე კალათი ეჭირა, რომელიც თანვე უნდა წაეყო ბათომში. სადაც ის მსახურობდა.

ᲨᲔᲛᲨᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲫᲚ

(ს. დარბელი, ზუგდ. მ.)

დარბელში არსებობს 7-წლიანი შრომის სკოლა, რომელის მოწაფეთა რიცხვი 500-დე აღწევს. სკოლაში სიტყვიერი და ნორმალური შეცდომენი მიდის, მაგრამ საკმარისოდ საკითხი შეიქნა შეშის ფქვილობა და ცოტათი მაინც სკოლის შეკეთება. სკოლაში არ მოიძებნება შეშის ნაგური, ფანჯრების მინები ჩამტვრეულია—ჩანგულია და ყოველ ოთახში ქარი უბერავს. სკოლის გამგის მიერ იქნა სათანადო ზომები მიღებული მოწაფეების მოსაბეზრა კრების საშვალებით, მაგრამ მაინც ვერაა ბანდა.

ოური თვეა, რაც თემმასკომი იმედით გვაკვებავს და შეშას მაინც არ გვაძლევს. ახე თვეე პირობებში იმყოფება საავადმყოფოც, სადაც ექიმი უკვე დაინშნა და მუშაობის წარმოება შეუძლებელია ბინის მოუწყობლობისა და შეშის უქონლობის გამო.

არც სამკითხველო უნდა დავფიქოთ უყურადღებოთ, რომელსაც არა აქვს შესაფერი ბინა.

იმედია, დარბელის თემმასკომი მეტი ენერგიით შეეცდება ყოველივე ზემოხსენებულის მოგვარება-მოწესრიგებას.

ეგრისელი.

ᲒᲐᲖᲐᲙᲐᲠᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

(თანამედროვე ლიტერატურა)

წარსული არჩევნების დროს თავასა და თუზა ჩეიდგენდენ ერთ თემს. საზოგადო კრებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩხარის რაიპარტკომის მ.ქ. მდივანი ამხ. ვ. კაკაბაძე. ჩვენი თემი თვიდანვე განიცდიდა დიდ განსაცდელს საექიმო პუნქტის არქონობის გამო და ამ კრებაზე ბუნებრივათ დასვეა კითხვა თავასის თემში ასეთის დაარსების შესახებ. კრებას უნდოდა აერჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ეს საქმე. მაგრამ ამხ. კაკაბაძემ ადუთქვა კრებას, რომ კომისიის არჩევა საჭირო არ არის, რომ რაკი პარტკომმა უკვე გამოიტანა დადგენილება საექიმო პუნქტის დაარსების შესახებ და ის თვით სთხოვს მთავრობას და აუცილებლათ დაარსებენ თავასის თემში საექიმო პუნქტს. ეს შეპირება მან რამოდენიმეჯერ გაუმეორა ხალხს.

წასული ზაფხულზე თემი გაიყო თუზის და თავასის თემებათ. თუზის თემი კიდევ ეახლა ქვეყნის და ხაზინის საექიმო პუნქტებს, თავასის თემი კი დარჩა სულ გარეული და განიცდის უკიდურეს გაჭირვებას უექიმობის გამო. მე ამ საგაზეთ გაუგზავნე წერილი გაზეთ „ახალი ხიფლის“ რედაქციას, რომელმაც მიმასწია: „ოედაქციას შორაპნის სამაზრო აღმასკომი აძლევს ცნობას, რომ სიბუფალეტო კომისიამ თავასის საექიმო პუნქტი ხარჯთაღრიცხვიდან ამოიგვიშალა, რას გამოც დაპირება ვერ შეასრულეთო“.

ამ ზაირი პასუხი სამაზრო აღმასკომისა გლეხობას ვერ დააკმაყოფილებს.

გლეხობა რაიპარტკომის პასხისმგ. მდივანს ვ. კაკაბაძის დაპირების შეასრულებას ითხოვს. ჩვენი ბიუნეტისათვის და მოიწვევენ ექიმის მისაღებათ. გლეხები კითხულობენ ამხ. ვ. კაკაბაძეს და ამბობენ: „თუ მის სიტყვას მეტი გასავალი არ ქონდა, რაღაზე ეგპირდებოდა“-ო. და, მართლაც, გლეხობის თვალში არ არის კარგი შეპირება და შემდეგ არ შესრულება.

ჩვენი გლეხის მდგომარეობა აუტანელია. ჩხარიდან 10 ვერსია. გლეხი ექიმთან წასვლას ხოგადოდ ამჯობინებს, რადგან უსახლოთ ექიმი მას არ მოეკვება. ცხენი კი თავასს

თემში სულ არ არის. ამიტომ უნდა იქიროს და მისცეს არა ნაკლებ ხუთი მანეთისა. ექიმიც ერთ თუმან ნაკლებ არ მოდის. ამნაირათ ექიმი და ცხენი თუთხმეტი მანეთი უჯდება, წამალი კიდევ ხუთა. გლეხი 15—20 მანეთის გაკეთებას ხიკვლილს ამჯობინებს და კიდევაც ხშირია შემთხვევა სიკვდილსა, რომელსაც ექიმი აუცილებლათ უშველიდეს.

ეს საკითხი რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოგვარდეს. კიდევ ლოდინი და დაუსრულებელი დაპირებანი გაუმართლებელი ბოროტება იქნებოდა.

ალ. ჩიქვილაძე.

ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

(გურია)

დიდი ხანია რაც გურიაში მეფუტკრეობას მისდევენ, უმეტესათ კი ზემო გურიაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეურნეობა თავიდანვე არ იყო საფუძვლიანად დაყენებული. დღეს კი მეფუტკრეობის საფუძვლიანად ჩამოყალიბება იკისრა გურიის სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკუმმა. მან გამოიყო გამოცდილი მეფუტკრე ამხ. გ. შეკერდნაძე, რომელიც აწარმოებს მუშაობას, როგორც ლექციების წაკითხვით, ისე პრაქტიკულად.

მოწყობილია საცდელი, სარეველებელი საფუტკრე. გლეხობაც დაინტერესდა ასეთი მუშაობით და ენერგიულათ ეკიდებენ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებას.

ესენი ხელმძღვანელობენ სოფ. სომიწოს სამკითხველოს. მათი მეცადინეობით შეძენილია 8 შვეიცარი შენოკი. ამ სამკითხველოსთვის, რომელიც კლუბათაც გამოდგება. მათი მონაწილეობითვე გამოშვებულია სოფელ სომიწოს ყოველთვიური კედლის გაზეთი „სომიწოს სიხალლე“.

რა მიზეზით ართმევს საარჩევნო კომისია მათ ხმას?—ამ გაუგებრობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

უცნობი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ს. ᲫᲚᲝᲕᲠᲔᲗᲘ (თბილ. მ.)

გადავხედეთ სამკითხველო. ჩვენს თემში სამი სოფელი შემოდის და ყველა ამ სოფლის გლეხობა მოკლებულია საშუალებას გაეცნოს საბჭოთა ლიტერატურას. ეს ეკონომიურ-გაზეთების საშუალებით. ეგზემპლარებიც ეს ეს ერთი-ორია. ეგზემპლარებიც ეს ეს ერთი-ორია. ეგზემპლარებიც ეს ეს ერთი-ორია

მუშათა ცხოვრება

უყაირათობის, უცოდინარობის და ბოროტების ტლაკოში

(ხ. ს. ხ. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ა. კ. რკ. გზ. ეკონომიური სამს. უფროსის საყურადღებოდ)

თბილისის ქალაქის სად. შესახებ „სოფელი ვნახე უძალლო შიგ გავარე უჯოხო", ეს თქმულება სწორედ ზედ გამოქმილია ა. კ. რკ. გზ. თბილისის კომერციულ საგენტოს და ქალაქის სადგურის ადმინისტრაციაზე.

სადგური ემყოფება ნახევრად სამეურნეო ანგარიშზე. თანამშრომლებს რკინის გზებზე არსებულ ცხრილის მიხედვით ჯამაგირის გარდა ეძლევათ კიდევ ყოველთვიურად ათი პროც.-წმინდა მოგებიდან პრემიის სახით. ვიდრე თვით ადმინისტრაციაც (მხედველობაში მყავს არა ყველა ადმინისტრატორი) ამ ტოფაში იწოდა, საქმე ცოტად თუ ბევრად წესიერად მიდიოდა, მაგრამ როდესაც მათ მიეცათ „სპეც-სტაჟკები", მათ სხვებში სრულიად დაავიწყდათ, გსს. წლის ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყო ქალაქის სადგურის ბინის შეკეთება, შეკეთება რაღაც თავისებურად; მაგ ერთ ოთახს ან კარ-ფანჯარას მოშლიან, შემდეგ მოაწყობენ, არ მოეწონებათ, კიდევ მოშლიან, კიდევ მოაწყობენ, კიდევ არ მოეწონებათ, კიდევ აწყობენ, კიდევ მოშლიან, კიდევ აწყობენ, და ასე დღემდის დასასრული არა აქვს ამ „შეკეთებას" იხარჯება აუარებელი ფული (უკვე დახარჯულია ორი ათას მანეთამდე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხარჯთ აღრიცხვით. თვეში მსუბუქ ავტომობილში აძღვენენ 400 მანეთს იმიტომ, რომ ადმინისტრაცია ბინიდან სამსახურში და სამსახურიდან ბინაზე ტრამვაით ვერ დაბრძანდება.

სადგური წარმოადგენს რაღაც დიდ სადურგლო სახელოსნოს, ერთის შეხედვით გეგონებათ, რომ აქ რაღაც დიდი „მუშაობა" წარმოებს. აქ შეხედვით ყოველი დარგის ხელოსანს: დურგალს, ზეინკალს, მეთუნუქეს, კალატოზს და სხ. მაგრამ რაც მათ მარტო მინები დაამტვრიეს და სულ ახალი ნაყიდი ხე-ტყის მასალა გააფუქეს, იმის საფასურის შესამედიც არა გაკეთებულა რა.

იმის მაგივრათ რომ აქ სდუღდეს მთელი ამიერ-კავკასიის და ალრეთად ქალაქ თბილისის კომერციული საქმიანობა, უნდა ჩაიხედოთ დაწესებულების გულში და ნახათ, რომ იგი წარმოადგენს რაღაც ჩინოვნიკურ, უსიცოცხლო და დაავადებულ დაწესებულებას.

წინედაც ასე იყო. სადგურის მოდგაწეობა კლიენტურის მიზიდვის მხრივ მის კარებს არ გასცილებია. ვერ ნახავთ ვერც ერთ კლიენტს, რომ სააგენტოს ადმინისტრაციის მიერ იყოს ძოყვანილი. ვინც არიან, იმათაც რაღაც ბედზე გაუგიათ საგენტოს არსებობა და თავისით მოსულან.

ქალაქის სადგური ეწევა ავტომობილების ექსპლოატაციას. შემოსავლის აღნუსხვას ქალაქის სადგური აწარმოებს, ხოლო ხარჯებს კირკინის გზის სამმართველო. რაღდენმეჯერ იყო დადგენილება, რომ ქალაქის სადგ. განკარგულებაში უნდა გამოყოფილიყო განსაკუთრებული რიცხვი ავტომობილებისა და ქალ. სადგურს უნდა ედვა თავზე ხარჯიც და შემოსავალიც. მაგრამ ეს საკითხი ისევ არეულია, რომ „ძალლ პატრონს ვერ იცნობს".

შეხედულება ბუხჰალტერიაზე ასეთია: „კომერციული საგენტო არ არის საჭირო, ამიტომ არც ბუჰალტერიაა საჭირო", იგი ხარჯების წარმოებას „აფერხებს". კლიენტების გირაოები თითქმის სრულიად არ ისინჯება. ახალი ინსტრუქციის და ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ქალ. სადგ. აწარმოებდა სამგზავრო ბილეთების ბინაზე მიტანას, ეჩალაც აწარმოებს, მაგრამ ადმინისტრაციამ ისე შესცვალა სისტემა ბილეთებზე ჩაწერა-მიტანისა, რომ სადგური ყოველთვიურად ჰკარგავს სამას ოთხას მანეთს.

სადაც საქმრო არ არის, იქ ზედმეტი შუშა ხელია, ხოლო სადაც საჭიროა, ან სულ არ არის ასეთი ან ცოტა აკლია. ზოგი 9-დან სამსახეთარ ხაათამდე მუშაობს ისიც ნახევრად, ზოგი 8-დან საღამოს 6 და ხშირად 7 საათამდე.

თვით ადმინისტრატორებშიც ერთი რომ ავტომობილზე სიარულით იღლება, მეორე ისევ ჩაფლული საქმეებში, რომ გასაქანიც არა აქს. ხშირად პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა არ იციან, თუ საიდან იწყება და სად თავდება მათი მოვალეობა. თვეში ხუთი მანეთის მომატებისათვის საუკეთესო თანამშრომლებს აცილებენ სადგურს, ხოლო რამდენი ბუთი და ასი მანეთი იხარჯება უაზროდ, იმას არ ანგარიშობენ.

ახალგაზრდა და პატიოსანი მუშაკები ინიციატივას ვერ იჩენენ; უფროსის უკანონო მოქმედებაზე კონტროლს ვერ დასძრავენ, მაშინათვე ინტრიგანად მონათლავენ და მათ წინააღმდეგ მიმართავენ ათასგვარ ხრიკებს.

დაწესებულება ტ თანამშრომლებიც სამსახთაროდ არიან აგდებული. სადგურის კარმიდამო სობინძერის მორევში ცურავს.

სადგურელი ფუტკარაძე.

„ბემოსა და ფოინისათვის"

(პატარა ფელეტონის მაგიერ)

შემხვდა ერთი ამხანაგი, რომელიც თავის ჩამოხრჩობას აპირებდა თურმე, მაგრამ აღარ ჩამოიხრჩო რაღაცა მიზეზით.

—მართლა თავის ჩამოხრჩობას აპირებდი?—შევეკითხე მას.

— ვაპირებდი, მაგრამ ვეღარ მოვახერხე.

— მიზეზი?

— მიზეზი ის არის, რომ მე თოკი არ მქონდა და მეზობელმაც არ მათხოვა, სარეცხი უნდა გავფინოვო...

— ახლა რას აპირებ?

— ჯერ-ჯერობით აღარ ვაპირებ თავის ჩამოხრჩობას და თუ დავაპირე, აწი კი მაქვს თოკი, მუქთად ვიშოვნე, არც მიყიდნია და არც მინათხოვრებია...

— რას ამბობ, კაცო, მუქთად სად იშოვნე?!

— პურში, რომელიც ვიყიდე კირკასა და კამოს ქურების კუთხეში მდებარე ფურნიდან...

— კაცო, პურში თოკს რა უნდოდა, მერე ისიც იმოდენას, რომ მითი თავი ჩამოიხრჩო?!

— ჩემო ძმაო შენ თოკი გიკვირს და ჩემმა მეზობელმა ცული იპოვნა პერში! მე ისიც არ გამიკვირდება, რომ ჩვენი მეფურნეების გამომცხვარ პურში ძაღლის თავი ან ვეფეშპის ფეხი აღმოჩნდეს!..

— მახლას! მახლას! პურთან ერთად ალბათ თოკსა და ცულს აცხობენ მეტი გემოსა და წონისათვის, ჩემო ძმაო. აქ თვითმკვლელობა რა შუაშია.

მუშა ნიკო ასლი.

ვინ არის „ნათლიმამა"?

ჩვენს დაწესებულებებში ბევრგან აქვს კიდევ ადგილი უწესოებას. აქ კიდევ არ იქნა და არ მოისპო ერთი სიმახინჯე, შემკვიდრეობით ჩვენს ხანაში დარჩენილი პროტექციობა.

ამ სენს ებრძვის მმართველი ორგანოები, მაგრამ ეს სენი აქა-იქ მაინც იჩენს თავს დროგამოშვებით, რაც დიდ ზიანს აძლევს დაწესებულებებს: მაგალითისთვის მოვიყვან ერ ნატალია ჩხიკვიშვილის ერთი დაწესებულებიდან მეორეში „ექსკურსიას" მისი „ნათლიმამის" წყალობით.

ცნობილი ნატაშა მსახურობდა „ზაკატპოში", წყალსადენისა და კეთილ - მომწყობ - ვანყოფილებაში, ელექტრონით მომწყობ სამმართველოს ბუჰალტერიაში.

ეს ქალი არის ფსიქიურად აკადმყოფი, ძალზე ნერვებ აშლილი, მას არ შეუძლია დამშვიდებულად მუშაობა და თავის ინტრიგანობით ხელს უშლის სხვა თანამშრომლებს მუშაობაში. მისი შეუგუებელი ხასიათის გამო კოლექტიურად თანამშრომლთა განცხადების თანახმად მოხსნილი იქნა მოქ. ჩხიკვიშვილი ზემოდ აღნიშნულ დაწესებულებებიდან, აგრეთვე ბევრი დაიწერა მასზე პრესშიც. ბოლოს, როგორც გავიგეთ, შეეცადა იგი მოწყობას წარმოკავშირში (ალბათ „ნათლიმამის" დახმარება-პროტექციით!), მაგრამ არ მიიღეს—ვერ უშველა პროტექციამ.

ელექტრონი.

„ბემოსა და ფოინისათვის"

(„უცდ"-ეს ამხ. ივანოვის და შრომის დაცვის ინსპექციის საყურადღებოთ).

არა ერთხელ და ორხელ მიუმართნიათ სადგურ ნავთლუღის საბარგო განყოფილების მუშა-მოსამსახურეებს პჩ/7-ს თვის, რომ მას მიეღო ზომები საბარგო ოთახის მოწესრიგებაზე, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ „საყინულეს" და სადაც არამც თუ ზამთარში, არამედ ზაფხულშიაც არ უდგება მზე. მთელი ეს ოთახი არის აშენებული ცემენტით, მას ხის ერთი ნაჭერიც არ ურევია; იატაკი არის დაგებული ქვისგან გაკეთებული პარკეტით და კედლები—კი ცემენტისგან. ეს ოთახი უფრო ადრე წარმოადგენს ნიკოლოზის დროის „კარცერს", ვიდრე სამუშაო ოთახს. გასათბობი ბუხარი მას არა აქვს, და არც ღუმელი უდგათ, მომუშავენი განიცდიან აუწერელ მდგომარეობას, ოა ბევრიც დაავადმყოფდენ და ხანგრძლივ მუშაობის მაგიერ იაწევენ ლოგიი ი; ზოგი თავიანთსა და ზოგიც საავადმყოფოში.

რას მივაწეროთ ასეთი გულგრილობა? ნუ თუ პჩ/7-ს არა აქვს შეძლება, რომ ერთი გასათბობი უბრალო თუნუქის ღუმელი დადგას აქა?

აქ, მგონია ერთნაირი დაუდეგრობაა და უადგილო კაპრიზი, რომელიც დასაგმობია, ვინაიდან რკ. გზას უფრო მეტი ეხარჯება ამისთანა უსაბუთო „კაპრიზის" გამო. იქ მომუშავე პირნი კი ერთი-ორი თვის შემდეგ აუცილებლად უნდა გადვიდენ დამზადვეგ სალაროს ხარჯზე, რადგანაც მუშაობის გაგრძელება მათ არ შეუძლიანთ. ამნაირად რკ. გზის სამმართველოს უჯდება ერთი და ეგივე ადგილი მოსამსახურესი სამჯერ მეტად, ვის წყალობითაა ეს? პჩ/7-ს დაუდეგრობის და გულგრილობის გაშო, რაც დაუშვებელია, და სწორედ ამას უნდა მიექცეს ყურადღება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დადგმული რკინის ღუმელი გასათბობად. და ამავე დროს მაგიდასთან, სადაც მწონავი მუშაობს, განუწყვეტლივ 8-საათში დაგებული უნდა იქნეს ფეხქვეშ ქეჩა.

ყოველივე ეს ასჯერ ნაჩვევი დაუჯდება რკინის გზის სამმართველოს, ვიდრე მომუშავეების დაავადმყოფება.

მუშკორი ძია-ლევანი.

გამოგზავნილი წერილიგიდან

— **თავხედი მეეზოვე.** სიონის ქ. № 32-ში არის კოოპერატ. კურსები—ჩვენი კურსები ეზოში არის მეეზოვე, ვინმე ვართაბაროვი, რომელიც მატად ცუდ მდგომარეობაში აყენებს მსმენელებს თავისი ლანძღვა-გინებით. იგი საღამოს რვა საათზე კეტავს ეზოს კარებს და შემდეგ კი ვაი იმისი ბრალი, ვინც კარის გაღებას მოითხოვს. უარებელ ლანძღვა - გინებას თავზე აყრის ეს უგუნური ვინმე მსმენელებს.

მოარჯულეთ.

მსმენელი.

ქრონიკა

სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

— **სიმინდი გლეხებს.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სიღნაღის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებს დაუნაწილა ჩრდილოეთ-კავკასიაში შეძენილი 10,000 ფ. სიმინდი ლარიბ გლეხებისათვის დასარიგებლად.

— **ღვინის და არაყის დამზადება.** სახ.-სამ. ბანკის ხელმძღვანელობით სიღნაღის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებმა დაამზადეს 30 ათასი ვედრო ღვინო და 300 ათასი გრადუსი არაყი.

კოოპერატივების მუშაობა.

— **წარმოკავშირი** ამჟამად აერთიანებს 156 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას 32,000 წევრით.

— **სოფლის ნაწარმოების დამზადება.** გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოკავშირმა დაამზადა 2,079,461 მანეთის სოფლის ნაწარმოები.

— **ხაკავშირი კოოპერატიულ** კავშირიდან ცეკავშირმა მიიღო 9 ათასი მანეთი კოოპერაციის დარგში წიგნების, ტურნალის და პლაკატების გამოსაცემად.

— **აპარის წარმოკავშირმა** ხულოს და ქედის მაზრებში დააგროვა დიდძალი თამბაქო.

მიწათმოქმ. კომისარიატში.

— **მეზაღეობის კურსები.** მიწად მოქ. სახ. კომისარიატმა ბათომში გახსნა მეზაღეობის კურსები.

— **ბრძოლა საქონლის პირთან.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა აჭარის სამეთოთო სამმართველოს საქონლის პირთან ბრძოლის გასაცხოველებლათ გაუგზავნა შრატის ახალი პარტია.

სატყეო ტრესტში.

— **სატყეო ტრესტი** კახეთის რაიონში ამზადებს 5000 ფუტ საღლაღოს (მაგარი ჯიშის ხეა) საზღვარ-გარეთ გასატანათ.

— **ხვანეთის ხე-ტყის** ქარხნისათვის, რომელიც ამუშავებული იქნება გაზაფხულზე, სატყეო ტრესტი შეუდგა ნედლი მასალის დამზადებას სვანეთის ტყეებში.

სამეურნეო დაფუძნებულებები.

— **ქვანახშირი,** უმაღ. სამეურნეო საბჭომ გასულ წელს გაასაღა 1,052,605 ფუთი ტყიბულის ქვანახშირი.

— **მატყლის გასაღება.** საქ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი 1925—26 წლის მოსავლიდან საკავშირო ბაზარზე გასასაღებლად გაიტანს 95,000 ფუთ მატყლს.

— **ხე-ტყის ვატანა.** აჭარის სატყეოებიდან საზღვარ-გარეთ გაიგზავნა 10 ვაგონი ნიგვზის და მსხალის ხის მასალა.

— **ხორბლის შემოტანა.** დეკემბრის განმავლობაში საქართველოში შემოიტანეს 380,100 ფუთი ხორბალი.

სხვადასხვა

— **ჯანმრთელობის** კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო დიდძალი ხელსაწყოები ქირურგიულ (გაჭრა და სხ.) ოპერაციებისათვის.

— **წითელი ჯვარის** საზ—ბის წევრთა რიცხვი ამჟამად აღწევს 50,000 კაცს.

ახალი წიგნები

გამოვიდა

— **„საქართველოს ისტორია"** (მე-2 ნაწილი) დ. უჩანეიშვილის და და სხ. ძიმისტარაშვილის შედგენილი. სახელმწიფოს გამოცემა. ფასი 1 მ. 50 კ.

— **„ბიულეტენი"** საქ. წითელი ჯვრის საზ-ბისა. (№ 4).

— **„რა უნდა იცოდეს** განათლების მუშაკმა თავის კავშირის შესახებ" ა. ვიგალოკის (თარგ. მე-3 რუსულ გამოცემიდან).

— **„ვენერიული ხნეულებანი"** ექ. ა. გალომსკის. კომკავშირელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის გამოცემა.

— **„ონანიზმი".** გამოცემა ამავე კომისიისა.

— **სტოლნიკი ტოლოჩანოვისა"** და დიაკი იევლევის ელრონა იმპერატორი" (1650—1652 წ.) საბუთებში, შედგენილი შესავალის თანდართვით მ. პოლიეევქტოვის მიერ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

— **„ხახალნო** გაწოთლება ამიერ-კავკასიაში რევოლიუციამდე და რევოლიუციის ხანაში", ამ. | კავკასიის ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს გამოცემა.

— **„ანბანი"** წერა-კითხვის უცოდინართათვის, გამოცემა „წერაკუთხის".

— **„რეფრაქციის მანკი",** შედგენილი ვასტანგ მუსხელიშვილისა. სახ. უნივ. გამოცემა.

შემოსულები

— **ცეცხლი.** 31 იანვ., ღამის 2 ს. გიორის ქ. № 19 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ნაკრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **ამავე** დღეს ფრიდონეთის ნიხრ № 4 სახლს ეაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ნაკრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის ძალ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

დელიბას „ლაქმე"

ჩვენი საოპერო დასის პრემიერი ქალის —ევანია პოპოვას სამუსიკო მოღვაწეობის 15 წლის იუბილეს ალესანშნავად დადგმულ იქნა პირველად ოპერის სეზონში დელიბას ოპერა—„ლაქმე". ოპერის სიუჟეტი ალებულია ინდოელების აჯანყებიდან ინგლისის წინააღმდეგ. აჯანყება, რომელიც მოაწყვეს ფანატიკური სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა—ბრამინებმა, ვერაგულად ჩაახრეს ინგლისელებმა, რამაც კიდევ მეტი გაბოროტება და სიძულვილი გამოიწვია „ჯანთლებულ ერის" წარმომ. დგენლებისაგან. საოპერო სიუჟეტისათვის ჩამატებულია რომანი ბრამინ ნილოკანტის ქალიშვილს—ლაქმს და ინგლისელ ოფიცერ ჯელალდს შორის. რომანი თავდება ტრაგიკულად დაკმეხათვის: შეყვარებული ლატტიბს ხას, სტოვგბს და მ ეშინავრება სამშობლოს.

როგორც სანს, წარმოდგენა ნაჩქარევად იყო გამართული, რადგან ძალიან უფერულ იყო, როგორც ოპერის საერთო მუსიკალური სტრუქტურა და მატერიული მხარე, ისე სოლოს პარტიების შესრულება.

პოპოვამ მოგვცა ახალგაზრდა ინდოელ ქალის პოეტური სახე. მსახიობი მშვენივრად მღეროდა. მისი ხმა განსაკუთრებით მუსიკალური იყო, ტენორიკერ სასრულუნლაპარაკიც ზედმეტი. მატერიულად იყო შესრულებული თვალი ორი ზარბეთ. მაგრამ ამით ამოიწურება ოპერის შესრულების დადებითი მხარეები, თუ არ ჩავთვლით მარიკის პატარა პარტიას (ვოლჩანეკაია).

ჯელალდის და ნილოკანტის პარტიები მკოთალად იყო შესრულებული. იდეანი იძლევა ფანატიკოს ბრამინის სწორ სახეს, მაგრამ სიმღერაში ვერ იჩენდა სიმტკიცეს მაღალ რეგისტრებში. დანარჩენი პარტიები ეპიზოდიურია. ორკესტრში სასურველია უფრო მკაფიო ფარგლებითვეა და მეტიდიე ბის გამოყენება. სუსტია ქალების ბალეტიკარგად ცეკვავდენ ლეონოვა და გუდულავი.

მე-3-ე აქტის წინ დაიწყო სიიუბილეო ზეიმი და მილოცვები. სიიუბილეო ზეიმის მონაწილეობა კომისიას თავმჯდომარეობდა მელიტონ ბალანჩივაძე, მთავარ სამხატვრო კომიტეტის თავმჯდომარე გვდეევნიშვილი ეს ლმეა იუბილიარს განათლების სახალხო კომისარიატის სახელით და აცნობებს, რ ა ლ ოიას ეძლევა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის სახელი წოდება. შემდეგ იუბილიარა ესალმებიან: ოპერის დიროექტორი ია სანეფელი—ეფალა, საოპერო დასის, სახელმწიფო ბალეტის წარმომადგენლები. წაიკითხეს იქნა მოსკოვიდან მიღებული ინდოელები—სახელმწიფო საოპერო დასიდან, კოლეგიტორ ია ოლიტოვ-ივანოვისაგან, კიევის საოპერო კოლექტივიდ.ნ ან სხვ. ოფიციალურ ესალმებიდან მეტ ბანგრძლივი და ბანგრძლივი ტაშით.

დადგმულ იქნა „დასისი"-ს მეორე აქტი, სადაც პოპოვა გამოვიდა მარიის პარტიაში.

ბ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **„აიდა".** დღეს ოპერის თეატრში ქუსაიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „აიდა".

— **ილია ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემა.** დაიწყო ხელისმოწერა ილია ჭავჭავაძის თხზულებებზე. ნაწერები გამოვა 5 ტომად. ღირს 15 მან. და 75 კ. გამოიცემა „ქართული წიგნი".

— **ალაკის რჩეული პროზა.** გამოვიდა ალაკის რჩეული მოთხრობების პირველი წიგნი. გამოიცემა სახელგამის.

— **„ლრეული".** გამოვიდა ფუტურისტების გაზეთი „ლრეული № 3.

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს მეორედ წარმოდგენილი იქნება „ლამარა"

— **კამერული თეატრი**—ახალი პროგრამა.

— **ცირკი** წარმოდგენა საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— **კომპოზიტორმა** დ. არაყიშვილმა დაამთავრა ახალი ოპერა: „სიეოცხლე სიხარულია", 3 მოქმედებად. ახალი ოპერა იქნება დადგმული ამ სეზონში.

— **ხელოვანთა სახალხო** ოთხშაბათს, 3 თებერვალს, საღამოს 5 ს. დანიშნულია მწერალ ქალთა კრება.

დღეს კინოებში

— **ამბილი**
— **არფასტო**
— **სოლეა**
} ორივ არის დამ. ნაზაევენ
— **მინიონი**
— **ოაზისი** } ახალი სურათები

თბილისის საშეფო საზოგადოების კონფერენცია

გუშინ, პირველ თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა თბილისის საშეფო საზოგადოების უჯრედთა კონფერენცია.

არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 13 კაცისაგან, სამდივნო 5 კაცისგან და სამანდატო კომისია.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) თბილისის საშეფო საზოგადოების ბიუროს საანგარიშო მოხსენება, 2) მოხსენება მომავალი მუშაობის შესახებ, 3) საზოგადოების წესდების დამტკიცება; 4) საშეფო საზოგადოების ბიუროს არჩევა 5) მიმდინარე საკითხები.

თბილისის საშეფო საზოგადოების ბიუროს მოქმედების წლიური საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. ახრიბეკოვმა, რომელმაც ვრცლად გააცნო კონფერენციას საზოგადოების აგებულება, საზოგადოების უჯრედთა რაოდენობა, წევრთა რიცხვი და ფინანსიური მდგომარეობა.

მოხსენებების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც პირველ სხდომაზე არ დამთავრებულა და გადაიდო დღევანდელი სხდომისათვის, რომელიც დანიშნულია საღამოს 5 საათისათვის.

საგინაო მუშეობლობა

კოოპერატიულ ამხანაგობათა თათბირი

ახლად დაარსებული საქართველოს საბინაო კოოპერატივთა კავშირის გამგეობას განზრახავა აქვს თებერვლის განმავლობაში ჩაატაროს საგინაო-საპროპაგანდო კამპანია იმ მიზნით, რომ საიჯარო საბინაო კოოპერატივები მოაწყოს იქ, სადაც საამისო საქმეროვაა. ამ ამოცანის შესასრულებლად გამგეობის პირველ რიგში განიხილა აქვს მოახდინოს საიჯარო-საბინაო ამხანაგობათა აქტიური მუშაკების თათბირი, რომელიც შემდეგ სისტემატიურ ხასიათს მიიღებს. გამგეობა თათბირის მონაწილეთ გააცნობს საბინაო კოოპერაციის კავშირის მიზნებს და ამოცანებს, შემდეგ აქტიურ წევრთა დახმარებით შეუდგა საბინაო ამხანაგობათა წევრების მასიურ კრებების ორგანიზაციას რაიონებს მიხედვით.

ნიკოლ ტარმი

წვეევამდელთა მზადება

დღეიდან დაიწყება 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდების ჯარმოთეორიის მდგომარეობის შემოწმება და მათი მიწერა სამხედროპუნქტებზე სამხედრო მომზადების მიზნით. რაიმდენიმე ხნის შემდეგ ამეშავდებიან სამოსწავლო წერტილები და იწყება წვევამდე მზადება, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

1904 წელში და უფრო ადრე დაბადებულ წვევამდელთა მომზადებამ მთელ საქართველოში დადებითი შედეგები მოგვცა. როგორც თვით წვევამდელნი, ისე ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა ამ მზადებას სრულიად შეგნებულად შეხვდა, რამაც დიდათ შეუწყო ხელი მზადების ნაყოფიერებას.

შეძენილია სამოსწავლო ნივთები: რუქები, პლაკატები, წიგნები. შენობების გამოსაძებნად გადადგმულია შესაფერისი ნაბიჯები.

პოლიტგანყოფილების მიერ გამოცემულია სპეციალური სახელმძღვანელო წვევამდელთა შორის პოლიტიკურ-საგანმანათლებელო მუშაობისათვის, რაც უფრო გაადვილებს მეცადინეობის წარმოებას. იმედია, რომ ეხლანდელი მზადება წვევამდელების უფრო ნაყოფიერი იქნება ვიდრე წარსულში, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ამ დარგში შესაფერისი გამოცდილება.

ე. ბუცხიშვილი.

მუშის ბიუჯეტის გამოკვლევა

პროფსაბჭომ გადასწყვიტა მოახდინოს მუშის ბიუჯეტის გაბოკვლევა. ამ მიზნით საკავშირო ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოდან საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს საშუალებით პროფსაბჭომ მიიღო 58 მუშ ს ბიუჯეტის გამოსაკვლევათ საქორო თანხა, მაგრამ პროფსაბჭოს ეს რიცხვი მიაჩნია არასაკმარისათ და ამიტომ გამოჰყო კომისია მუშაობის გასაფართოებლად და დამატებითი თანხების გამოსაძებნად. კომისიამ უკვე შეადგინა დაინტერესებულ დაწესებულებებიდან საკირო თანხა(ბარტო თბ. აღმასკომმა გადასდო 37 მუშის ბიუჯეტის გამოსაკვლევათ საჭორო თანხა) და ამ რიგად მთელ საქართველოში გამოკვლეული იქნება 195 ბიუჯეტი.

ასეთი გამოკვლევა მესამეა საბჭოთა ხელისუფლების დროს. გამოკვლევის ბიზანია მუშა-მოსამსახურის შემოსავლის წყაროების გამორკვევა და ხარჯების ანალიზი. გამოკვლევა ცხადჰყოფს, თუ რამდენად იკმაყოფილებს თავს ესა თუ ის ოჯახი ბრსებულ შემოსავლით.

გამოკვლევას, გარდა ამისა, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს იგი გვაჩვენებს, თუ რამდენად ან როგორ ნაწილდება მუშებს შორის სახელმწიფოს მიერ გამომუშავებული ნაწარმოების პროდუქტები, მუშებისათვის ესახის მიცემის საკითხი, მუშების ყოფა-ცხოვრება, მისი დღევანდელი მდგომარეობა და სხვ.

გამოკვლევისათვის აღებულია ძირითადი სამრეწველოები, რომელთაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ. გამოკვლეული იქნება: ლითონის, თამბაქოს, ტყავის, პოლიგრაფიულ წარმოებების მუშების, ტანსაცმის, ელექტრონის, წყალსადენის მუშებისა და მკერავების ბიუჯეტი.

პროვინციებში კი გამოკვლეული იქნება ტყიბულის და ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მუშები; აგრეთვე ორი პროფეკავშირია: განათლების და საბჭოთა და საგანგებო მუშაკების.

განათლების კავშირში გამოიკვლევა მხოლოდ მასწავლებლების და აგრეთვე ბეჭედვითი სიტყვის მუშაკების.

გამოკვლევა მოხდება შემდეგნაირად: მუშის ან მოსამსახურის ოჯახში დატოვებული იქნება სამი სხვადასხვა ანკეტა: შემოსავლის, (წარწერება ყველანაირი შემოსავალი ფულით და საგნებით). გასავლის და კვების ფურცელი, სადაც აღინიშნება ყველა ის სანოვაგე, რაც ოჯახში იხარჯება.

საგანგებოდ დანიშნული რეგისტრატორები ივლიან ამ ოჯახებში ყოველ ორ დღეში და უბრალმძღვანელებენ ანკეტების შევსებას.

გამოკვლევა გასტანს ერთ თვეს—1 თებერვლიდან 1 მარტამდე.

ეგამოკვლევის საწარმოებლად დაარსებულია კომისია, რომელშიაც შედიან: შრომის სტატისტიკის ბიუროს, თბ. აღმასკომის და სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს სტატისტიკურ განყოფილებების წარმომადგენლები.

ამგვარივე გამოკვლევა სწარმოებს ბაზრბეჟოანსა და სომხეთში. საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში გამოკვლევა ჩატარდა ნოემბერში.

ნ.

ფითელი ჯვრის საზოგადოების ყრილობა

პირველი სხდომა

კვირას 31 იანვარს, გაიხსნა სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 2-მე ყრილობა.

მუშათა სასახლის დიდი დარბაზი მხატვრულადაა მორთული. აქ გამოფენილია: დიაგრამები, საექიმო ტურნალები, წითელი ჯვრის მიერ გამოცემული ლიტერატურა და სხვა. დიდ ინტერესს იწვევს მოდელები იმისა, თუ როგორია გლეხების საცხოვრებელი ბინები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში და მოცემულია აგრეთვე მოდელი ისეთი ბინისა, როგორიც უნდა მოეწყოს მომავალში ჰიგიენის თვალსაზრისით. ყურადღებას იქცევს აგრეთვე საექიმო პუნქტის მოწყობილობის მოდელი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებელების სურათები შესაფერ ტანსაცმელებში, დაბატული ფერადებით.

დღის სრულ 12 საათზე საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კიკალეიშვილი ხსნის ყრილობას.

პრეზიდიუმის არჩევა

შემდეგ, ყრილობა არჩევს პრეზიდიუმს, სამდივნოს და სამანდატო კომისიას. საპატიო თავმჯდომარეთ ყრილობამ აირჩია წითელ ჯვრების და ნახევარ მთვარეების აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აბელ ენუქიძე.

მისალმებები

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა: უკრაინის, რუსეთის, აზერბეიჯანის და სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოებების მისალოცი დეპეშები. ყრილობას მიეუდგა მისალოცი დეპეშა აგრეთვე ამხ. ენუქიძისგანაც.

ყრილობას მიესალმენ: აჭარისტანის „ნახევარ მთვარეთა"-ს სახელით ამხ. ზარიპოვი და ატაბეკოვს-„წითელი ჯვარი"-ს სახელით ამხ. თუმანიშვილი.

მისალმებების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. კიკალეიშვილის მოხსენება საზოგადოების ცეკას 1925 წლის საქმიანობის შესახებ. (ანგარიში უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის 30 იანვრის №-ში).

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საზოგადოების სარეგიზიო კომისიის მოხსენება. კომისიის წარმომადგენელი ამხ. ქუთათელაძე შეეხო რა პრეზიდიუმის საქმიანობაში ზოგიერთი ნაკლულოვანებებს, აღნიშნავს მიღწევებსაც და საერთოთეკ. მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის.

მესამე სხდომა

ორივე მოხსენების შესახებ დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდა მესამე სხდომაზე.

კამათში მონაწილე პირები აღნიშნავდენ პრეზიდიუმის მთელ რიგ მიღწევებს და ხაზს უსვამდენ ზოგიერთ ნაკლულოვანებებსაც—უმთავრესად საორგანიზაციო დარგში. ისინი ამბობენ, რომ საკმარისი არ არის წევრთა მხოლოდ რაოდენობითი ზრდა და საჭიროა ყურადღების მიქცევა მათ ჩაბმაზე ორგანიზაციის მუშაობაში.

მოხსენებები ადგილებიდან

კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობა შეუდგა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენას (წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის ანგარიში მოთავსებული გვქონდა 30 იანვრის ნომერში. რედ).

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამიერ-კავკასიის ფინანსიკომის წინასწარი ცნობებით, ქამპანიის დაწყებიდან 15 იანვრამდე ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი ამ.-კავკასიაში შემოვიდა 2.870.577 მანეთის რაოდენობით, რაც წლიური დავალების 54.47 პროც. შეადგენს.

ცალკე რესპუბლიკებს შორის შემოსული თანხები ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოში შემოვიდა 871.328 მანეთი (წლიური დავალების 55.99 პროც.), აზერბეიჯანში—1.404.803 მანეთი (დავალების 51,19 პროც.) და სომხეთში—594.446 მანეთი (დავალების 61,32 პროცენტი).

საურავი და დარჩენილი თანხები შემოვიდა 157.676 მანეთი; აქედან საქართველოზე მოდის 78.348 მანეთი, აზერბეიჯანზე—72.250 მანეთი და სომხეთზე—7.078 მანეთი.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„ბ. ქავთარაძე"—სახელ. კოლიტეხნიკუმი

კვირას, 31 იანვარს, ლენინის სახელ

— ქალაქის რაიონის ბუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს თებერვლის 2 საათზე ქალაქის რაიონის შენობაში გაიმართება ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

განყოფილების გამგე ბელიაევცევი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 2 თებერვალს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და აღგილკომების ფრაქციების თათბირი უკრიდთა მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:

1) ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და აღგილკომების ფრაქციების მუშაობის და პარტსწავლის შესახებ.

2) ხელახალ კოლეგიურ ხელშეკრულებების დადების შედეგების შესახებ (სატარიფო პოლიტიკა).

3) საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობის შესახებ.

ქალაქის რაიკომი.

ოთხშაბათს, 3 თებერვალს, საღამოს სრულ 6 საათზე, „მოლოდი რაბოჩი"-ს რედაქციის ბინაზე (რუსთაველის გამ. 20) შესდგება ახკორების საერთო საქალაქო კრება.

დღის წესრიგში სდგას:

1) მოხსენება მუშკორთა და ახკორთა მოძრაობის შესახებ დასავლეთში (მ. გოლდი).

2) რედაქციის მოხსენება;

3) მიმდინარე საკითხები.

სასურველია ყველა ახკორების დასწრება.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: სალუქვაძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისისწორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, 1926 წლ. 2 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში (პლეხ. 123) შესდგება ქალთა სადელეგატო კრება, მეორე რაიონის ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

სავალდებულოა ყველა დელეგატ-ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის აგიტ-პროპაგანდაყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, ა. წ. 2 თებერვალს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხ. გამზირი 96) შესდგება მეორე რაიკომის ყველა ტიპის პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

სავალდებულოა ყველა ხელმძღვანელთა დასწრება დაუგვიანებლად.

მდივნის მოადგილე წოლიძე.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი შვილები—გიორგი, აკაკი და ანიჩკა, რძალი ანეტა, შვილისშვილები: ნინო, კაკო, ვარდიკო, მეთო, მუსი, ელენე, მიშა, შუშუ და თამარა, სიძეები—გიორგი და ირაკლი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებ-ნაცნობთ, რომ ა | წ 31 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის სამუდამოთ დაუვიწყარი და საყვარელი

ვარდიკო თომას ასული
ხოუტარიასი

პ ნაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე. ბელინსკის № 61. დაკრძალვის ღონისძიებნი ბინაზე ამმა ხალიბოლი. 1-1 1367.

იანვარს 30, ქ. თელავში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ევგენია ნიკოლოზის ასული
სარაჯიშვილისა

რასაც ულრმესის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებს ძმები: ივანე, ვლადიმერი და პლატონი ნიკოლოზის ძენი ზედგინიძენი ოჯახობით და დები: მარიამ ნიკოლოზის ასული ასათიანისა და ოლღა ნიკოლოზის ასული გოგვაძისა ქმარ-შვილით. დაკრძალვა ქ. თელავში ორშაბათს, 1 თებერვალს, პანაშვიდი კვირას 7 თებერვალს, ქ. თბილისში ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში 12 საათზე.

1—1. 1.368.

გულდათუთქული შვილები: ნინო და გრიშა (გიორგი) მდინარაძენი, ბებია პაველს ასული ცაგარელისა, ბიბუა მიხეილი, ბებია დარო, მამიდა ლიუბა, და ბიძა ალიოშა მდინარაძეები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგვეტაცა ხელიდან ჩვენი ძვირფასი

პასტარა
თენგიზი

დაკრძალვა ნიკოლოზის ვერის სასაფლაოზე სამშაბათს ორ თებერვალს, გამოსვენება ბინიდან ელისაბედის ქუჩა, № 63 (მელიქ-შვილის ქ. კუთხე) სრულ 4 საათზე. 1—1. 1 365.

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია, მეუღლე ლიზა, ძმები: პლატონი და მიშა, და—მაშიკო, ბიძები: სამსონი და იორამი, ბიძაშვილები: მიშა, ვალოდია, შალიკა და კოტე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი

ვანო ელიზბარის ძე
ნიკოლაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ნაძალადევი—გროზნის ქ. № 5) დღეს ორ თებერვალს, დღის 4 საათზე. დაკრძალვა წმინდანინოს სასაფლაოზე.

1—1 № 1.381

ა | ქ. რკინის გზათა საამართველოს გკონომიური განყოფილების თანამშრომლები გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქალი თანამშრომლის, ძვირფასი ამხანაგის და საუკეთესო მუშაკის, უფროსი ეკონომისტის

ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე
ყიფიანის

გარდაცვალებას.

გამოსვენება 2 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე ქაშუეთის ეკლესიიდან, დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 № 1380

ელენე გრიგოლის ასული შვილებით ულრმეს მაღლობას უცხადებს ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებულის ძვირფას მეულლის

ივანე ნიკოლოზის ძე სირაძის

დაკრძალვაში მონაწილეობის მიღებისა და თანაგრძნობისათვის

1-1 ნ. 706

რუსთაველის თეატრი: დღეს, 2 თებერვალს

გრ. როგაძიძის

ლ ა მ ა რ ა

ხუთშაბათს, 4 თებერვალს

პრემიერა

მ ა ს კ ო ტ

დადგმა კ. მარჯანიშვილის ოპერეტა 3 მოქ.

სახელმწიფო ოპერა დღეს, 2 თებერვალს

ა ი დ ა

ბარონკინას, პანკ რატოვას, ილინის და ქუმსიაშვილის მონაწილეობით

1—1 704

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ძართულ ენაზე)

მისამართი: გზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—13

ფინადადება ეძლევა

მოქ. ალექსანდრე დიონისეს-ძე კეკლიშვილს

(გაზეთ „კომუნისტი"-ს ყოფ. კონტრაგენტი ქ. ონში, რაჭა)

ერთი კვირის განმავლობაში

გამოცხადდეს გზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული) ანგარიშების გასასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება სათანადო ზომები.

მოქ. კეკლიშვილზე გაცემული მოწმობა 1925 წ. მარტის 27 თარიღით № 463

ჩაითვალოს გაუქმებულად

გზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

3—3

სააქციონერო საზოგადოება

„Электросельстрой"

„ელექტრო სელსტროი"

გამგეობა მოსკოვში

1. კისრულობს ყოველგვარ ელექტრო-მოწყობილობათა დადგმას.

2. აწარმოებს სასოფლო მეურნეობის და შინამრეწველობის ელექტროფიკაციას და მაშინიზაციას, აწყობს ელექტროსადგურებს და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წარმოებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ნედლი მასალის და შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა დასამუშავებლად: წისქვილებს, ხარეთის, ირგვლივის ყველის სასარგებლობის სახელოსნოებს, მანქანებით მორწყვას და სხვ.

სასოფლო მეურნეობისა და შინა-მრეწველობისათვის კრედიტი 5 წლამდე

შეკითხვებით უნდა მიმართოთ სააქც. საზ-ის „ელექტროსელსტროის" წარმომადგენელს ამიერ-კავკასიაში ინჟენერ-ელექტრ. ი. ა. მელკუმიანს, თბილისი, დროებით სასტუმრო „ნ ო ე".

1—1 ნ. 702

ბ ა ნ ი ა ა. ფონ-ირტელი

ბიბლიოლის პროსპექტი, № 10, (ფარნოსლიანის ბიბლიოთეკა) ... 6-8 საათ. 1—1 1355

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნервიულ ავადმყოფ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოდესა ქუჩა 49) ტელ. 4—82.

1355 25—1

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით სპეციმოტორაკსით და ტუბერკულინზით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დღე, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

დ. აბაშა

კბილის ექიმი

ა. ნადარეიშვილმა

გაანახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატ. ხაკა ლაბორატორია, ს. დაც მხადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25—1 № 1306

ექიმი გ. მ. ფხალაძე

ქალისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: ქალებს—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალებს—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოკავის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაისაძის ზემოთ. აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალექსინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33, ...

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

... 1—1 1363

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

... 1—1 1376

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

... 1—1 1374

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

... 1—1 1379

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

... 1—1 1379

პროფესორი

გრ. მუხაძე

... 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

... 1—1 1570

ექიმი ჯალაღონი

... 1—1 1376

ექიმი თ ო დ ა ძ ე

... 1—1 1379

ექიმი ი. ი. გერიშვილი

... 1—1 1379

ზესტაფონის აქციზის ინსპექტორი

აცხადებს,

... 1—1 1375

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნервიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოდესა ქუჩა 49) ტელ. 4—82.

1355 25—1

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით სპეციმოტორაკსით და ტუბერკულინზით, **რენტგენის**, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დღე, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

დ. აბაშა

კბილის ექიმი

ა. ნადარეიშვილმა

გაანახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატ. ხაკა ლაბორატორია, ს. დაც მხადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25—1 № 1306

ექიმი გ. მ. ფხალაძე

ქალისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: ქალებს—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალებს—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოკავის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაისაძის ზემოთ. აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალექსინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33, **იღებს ავადმყოფებს**

ქალის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნервიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძველაძეს ქუჩა (ყოფილი საპაორნი) № 32.

25—1

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ქალის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ № 38.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და ქალის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღედ 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი ჯუნენტერზის ქუჩიდან). 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, ქალის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპაორის ქუჩა № 35, ყოფ ილი ...

ექიმი

ფ. თ. რატიან თუსარელისა

... 1—1 1377

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

... 1—1 1376

ექიმი

ალ. ... ჯალაღონი

... 1—1 1376

ექიმი თ ო დ ა ძ ე

... 1—1 1379

ექიმი ი. ი. გერიშვილი

... 1—1 1379

ზესტაფონის აქციზის ინსპექტორი

აცხადებს,

... 1—1 1375

ექიმი

ალ. ... ჯალაღონი

... 1—1 1376